



იმისთანა წმინდა საცემში, ბოგბინდ ბუქ-
უბი სიფყავა, ცუდილებით და ჭბრებით ბუბ-
თის გაცანა ყულა უკადრისბბაჩუ უსაბაგლსია.

ბაგორდის 1918 წლის
25 ივლისიდან

რეპრეზენტატივა

ოთხშაბათი, 23 ოქტომბერი. 2019 წ. №210 (8876)

ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ფასი 60 თათრი

დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

გამორჩეულ ქართველ მეცნიერს, საყოველთაოდ აღიარებულ ლინგვისტს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო პრეზიდენტს, ბატონ **თამაზ გამყრალიძეს** 90 წელი შეუსრულდა.

**აკადემიკოსი
თამაზ
გამყრალიძე
90 წლისაა**

პული ელემენტები“, რომელიც შეფასებულ იქნა როგორც დოქტორის სამეცნიერო ხარისხის შესაფერისი შრომა. სადოქტორო დისერტაციაც კვლავ ხეთურის სტრუქტურულ ბუნებას შეეხებოდა – „ხეთური ენა და ლარინგალური თეორია“. ამ ნაშრომში წარმოდგენილ იქნა ახალი ხედვა ინდოევროპული ლარინგალური ფონემების ისტორიული

განვითარებისა და მათი თავისებური რეფლექსების შესახებ ინდოევროპულ ენათა დიაქრონიკაში. ხეთური სოლისემბრი დამწერლობის წარმოშობისა და ფონემური სისტემის კვლევისას მან თავისებურად დააბუსტა „ლარინგალური თეორია“, რომელიც ინდოევროპულ ფონემათა განვითარების ხანგრძლივ პროცესს ეხება. ამ ნაშრომში მეცნიერი უკვე წარმოაჩინა როგორც ინდოევროპულ ენათა ისტორიულ-შედარებითი საკითხებისა და ხეთოლოგიის ფუნდამენტურ პრობლემათა საუკეთესო მკვლევარი.

ფართო თეორიულმა მომზადებამ და დიდმა სამეცნიერო დიაპაზონმა მკვლევარს საშუალება მისცა პასუხი გაეცა უახლესი თეორიული გამოწვევებისათვის და თავისი განუმეორებელი კვალი აღებეჭდა თანამედროვე, აქტუალურ მეცნიერულ პრობლემებში, რომელიც ახალ ეპოქას წამოეჭრა ზოგადი ენათმეცნიერების, ქართველოლოგიის, აღმოსავლეთმცოდნეობისა თუ ინდოევროპეისტიკის საკვლევადი იმპერიაში. მთელი ამ დროის განმავლობაში თ. გამყრალიძე დიდი წარმატებით მოღვაწეობდა როგორც თეორიული ენათმეცნიერების, ისე ქართველოლოგიისა და ინდოევროპეისტიკის სფეროებში.

სრულიად განსაკუთრებულია აკად. თ. გამყრალიძის წვლილი ქართველურ ენათა ისტორიულ-შედარებით კვლევაში; ჩართო რა კომპარატივისტიკის უკვე გამოყენებულ მეთოდოლოგიაში სტრუქტურალიზმისა და ზოგადტიპოლოგიური ძიების უახლესი მეთოდები, მან სრულიად ახლებურად დასვა და გადაწყვიტა ქართველურ ენათა სტრუქტურისა და ისტორიის არაერთი თითქოს უკვე ამოწურული საკითხი.



სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
0114, თბილისი, მეფე ერეკლე II-ის მოედანი 1
ტელ.: (995 32)2990378, 2989540; ფაქსი:2987114



CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA
1, King Erekle II sq. Tbilisi, 0114
Tel.:(995 32)2990378, 2989540; Fax:2987114

მსოფლიოში აღიარებულ აღმოსავლეთმცოდნეს, თეორიული ენათმეცნიერების სპეციალისტს, ძველი აღმოსავლური ენების მკვლევარს, ბ-ნ თამაზ გამყრალიძეს გულითადად ვულოცავთ დაბადების 90 წლისთავს.

მას ათეისტური რეჟიმის პირობებში მოუწია მოღვაწეობა და მუდამ ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობები ეკავა. არ აკლდა აღიარება არც უცხოეთში, რამაც განაპირობა საზღვარგარეთის მეცნიერებათა არაერთი აკადემიის საპატიო წევრად მისი არჩევა;

მაგრამ აღამიანის ამქვეყნიური ყოფა, როგორც წარმატებულიც არ უნდა იყოს იგი, არაფრად არ ღირს, თუ პიროვნება უფალს ვერ იპოვის. ამიტომაც ყველაზე მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ცხოვრებისეულმა გზამ ბაგონი თამაზი გაძრამდე მიიყვანა და დღეს იგი ღვთისმადიდებელი აღმსარებელი ქრისტიანია.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ მას საიუბილეო თარიღს და ვუსურვებთ ღვებრძელობას და სიხარულს ორსავე სოფელსა შინა.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
21.10.2019

2

გიორგი ბახარია:
„თბილისის აპრილის
გზის ფორუმი“
აზიასა და ევროპას
შორის კავშირების
გაღრმავების
ენიშვნალოვანი
შესაძლებლობაა

3

**პოლემიკა
ვიღვარით
ისევ
მრავალჯერ
ნამღერი?!**

4

**მამუკა ხაზარაძე და ბაქრი
ჯაფარიძე რაღას
აბდაუბდა
„მუქარის წერილს“
ეპლაუსებიან!**

9

**რეპორტაჟი
სამეზრელოდან**

**„...მთვარე -
პოეტის
მავალი
რგოლი!“**

11

**რატომ
არის
საშიში
ბავშვის
შენჯღრება**

11

**NATIONAL
GEOGRAPHIC:
საქართველოს
მსბავსი
აღბილი
ღვთაინაზა
არ არსებობს!**

4

**გაზის
გაბათობილი
თვით-
ნაკეთი
ბომბია!**

გიორგი გახარია: „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“ აზიასა და ევროპას შორის კავშირების გაღრმავების მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა

ბაზილიში, საქართველოს პრემიერ-მინისტრის გიორგი გახარიას პატრონაჟით „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“ გაიხსნა.

მოხარული ვარ, რომ საქართველო განაგრძობს ასეთი მნიშვნელოვანი ღონისძიების მასშტაბირებას, – ამის შედეგად საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ გახსნაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა.

მისი თქმით, ფორუმი მისი ორი წინამორბედი ფორუმის წარმატების გამოძახილია. ღონისძიებას მსოფლიოს 60-ზე მეტი ქვეყნიდან 2 000-ზე მეტი დელეგატი ესწრება.

„ისტორიულად საქართველო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „აბრეშუმის გზის“ განვითარებაში. თანამედროვე ეკონომიკური ინტეგრაციისა და გლობალიზაციის პირობებში, როდესაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკურ განვითარებას, ახალი „აბრეშუმის გზის“ კონცეფცია და მასში მონაწილეობა ჩვენთვის კიდევ უფრო მეტი პრიორიტეტი და საამაყოა. აღსანიშნავია, რომ საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელიც გამოეხმაურა ჩინეთის პრეზიდენტის სი ძინპინის ინიციატივას – „ერთი სარტყელი ერთი გზის“ შესახებ“, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

როგორც პრემიერმა განმარტა, ინიციატივა ახალი სავაჭრო-სატრანსპორტო დერეფნების შექმნასა და არსებულის გაუმჯობესებას ეხება, რომელიც ეფუძნება ქვეყნებს შორის ურთიერთმოგებიანი თანამშრომლობის პრინციპებს და მისი მიზანია ჩინეთსა და პროექტის მხარდამჭერ ქვეყნებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების ხელშეწყობა.

„საქართველომ მხარი დაუჭირა აღნიშნულ ინიციატივას და უკვე 2015 წელს თანამშრომლობის შესახებ შესაბამისი მემორანდუმით გააფორმა ჩინეთის მხარესთან, რამაც ახალი ბიძგი მისცა საქართველოსა და ჩინეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას და ამან უკვე თავისი შედეგით გამოიღო. დღეს საქართველოსა და ჩინეთს შორის გაფორმებულია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება“, – განაცხადა გიორგი გახარიამ. პრემიერ-მინისტრის განცხადებით, „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“ აზიასა და ევროპას შორის კავშირების გაღრმავების მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა.

მისივე თქმით, შედარებით მცირე ადმინისტრაციული, ლოგისტიკური და სატრანსპორტო ბარიერები, გამარტივებული და პარამონიზებული სავაჭრო პროცესები ხელს უწყობს ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაძლიერებას.

ამასთან, როგორც გიორგი გახარიამ აღნიშნა, საქართველო, როგორც მხოლოდ 3,7-მილიონიანი სამომხმარებლო ბაზარი, შესაძლოა, ვინმემ არამომზიდველად მიიჩნიოს.

„თუმცა, თუ შევხედავთ საქართველოს, როგორც რეგიონულ პაზს, მნიშვნელოვან განსხვავებას მივიღებთ და ჩვენ საქართველოს აღვიქვამთ და ვუყურებთ, როგორც კარიბჭეს არა მხოლოდ კავკასიის, არამედ შუა

აზიის, შემდგომ ევროპის და უფრო მსხვილ დასავლეთ და აღმოსავლეთ ბაზრებზე წვდომისთვის. ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოსთან ერთად, საქართველოში თქვენ დაგხვდებით საინვესტიციო პრეფერენციები, რომლებიც გაძლევთ საშუალებას, 2,3-მილიარდიან სამომხმარებლო ბაზრებზე წვდომისთვის, ეს სამომხმარებლო ბაზრების ძირითადი ინფრასტრუქტურა იმ თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებებით, რომელიც დღეს საქართველოს უკვე აქვს“, – მიმართა პრემიერ-მინისტრმა ფორუმის მონაწილეებს.

მისი განმარტებით, ესენია ჩინეთის რესპუბლიკას-



თან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულება, დსთ-ს ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება, ასევე თურქეთთან, უკრაინასთან.

„ასევე, საზღვარსა და აღნიშნულ მოლაპარაკებებში, რომლებიც დღეს მიმდინარეობს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ინდოეთთან და ისრაელთან.

შესაბამისად, თავისი სტრატეგიული მდებარეობით ევროპასა და აზიას შორის, კარგად განვითარებული სატრანსპორტო და საბაჟო ინფრასტრუქტურით, ბიზნესზე მორგებული პოლიტიკით, ძლიერი რეგიონული და რეგიონს გარე სავაჭრო ურთიერთობებით, საქართველოს აქვს უზარმაზარი პოტენციალი, გახდეს შაბი და როგორც ისტორიულად, დღესაც განაგრძოს, შეასრულოს მნიშვნელოვანი როლი აღმოსავლეთს და დასავლეთს შორის ვაჭრობის ხელშესაწყობად“, – განაცხადა გიორგი გახარიამ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას.

მან ენერგეტიკული დერეფნების განვითარების მნიშვნელობასაც გაუსვა ხაზი.

„საქართველო მიესალმება და მხარდაჭერას უცხადებს „სამხრეთ გაზის დერეფნის“ განვითარებას, სამხრეთ კავკასიური მილსადენის გაფართოებას, ასევე ტრანს-ადრიატიკული მილსადენისა (TAP) და ტრანს-ანატოლიური მილსადენის (TANAP) განვითარებას, რომელსაც „ენერჯის აბრეშუმის გზადაც“ მოიხსენიებენ“, – აღნიშნა პრემიერმა.

გიორგი გახარიამ ფორუმზე სიტყვით გამოსვლისას თანამედროვე ტექნოლოგიებზე და ამ მხრივ არსებულ გამოწვევებზე გაამახვილა ყურადღება.

„21-ე საუკუნე აღიარებულია, როგორც ციფრული ერა და, შესაბამისად, თანამედროვე ტექნოლოგიები სწრაფი ტემპებით განვითარება უკვე მნიშვნელოვნად ახდენს მსოფლიოს ტრანსფორმაციას სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით. თუმცა, ამ მხრივ არსებობს სერიოზული გამოწვევებიც და რისკები, თუნდაც კიბერუსაფრთხოება, ადამიანის უფლებების, კონფიდენციალურობის და თუნდაც სამუშაო ადგილების რაოდენობაზე ზემოქმედების თვალსაზრისით. დღევანდელი ფორუმი სწორედ ის პლატფორმაა, სადაც ჩვენ შეგვიძლია, აღნიშნულ საკითხებზე ვიმსჯელოთ და გავუზიაროთ ერთმანეთს გამოცდილება“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა. ამასთან, გახარიას თქმით, „თბილისის აბრეშუმის გზის“ ფორუმი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს „ახალი აბრეშუმის გზის“ პერსპექტივის განხორციელებაში.

„დარწმუნებული ვარ, ეს ორდღიანი ფორუმი იქნება ეფექტიანი განხილვების ძირითადი პლატფორმა ჩვენი სტუმრებისთვის. დარწმუნებული ვარ ასევე, რომ „თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი“ თავის მნიშვნელოვან როლს შეასრულებს „ახალი აბრეშუმის გზის“ პერსპექტივის განხორციელებაში და ჩვენს ქვეყანას და ჩვენს რეგიონს თქვენს თვალში წარმოაჩენს ახალი შესაძლებლობებისა და ახალი მიღწევების თვალსაზრისით.

გვჯერა, რომ ჩვენ, ქართველებს ეს ფორუმი დაგვცხმარება, უფრო კარგად და ეფექტიანად შევასრულოთ ჩვენი მისია – ვიყოთ ევროპასა და აზიას შორის სიდი და ვიყოთ ის ადგილი, სადაც ეს ორი ცივილიზაცია ერთმანეთს ხვდება. ჩვენ ხომ საქართველოში ვართ, ქვეყანაში, სადაც წარსული და ტრადიციები არის ის ფუნდამენტი, რომელზეც იქმნება ჩვენი ყველას მომავალი, მომავალი რეგიონის და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ჩვენი ქვეყნებისა და მოქალაქეების კეთილდღეობის მიზნით“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ.

ლიუ ჰუი: საქართველოსა და ჩინეთს შორის სავაჭრო მოცულობამ უარს მილიარდ დოლარს გადააჭარბა

ევრაზიის რეგიონში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სპეციალურმა წარმომადგენელმა ლიუ ჰუიმ თბილისში მიმდინარე „აბრეშუმის გზის ფორუმზე“ პროექტის ფარგლებში ქვეყნებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„ერთობლივი ძალისხმევით შედეგად ჩვენ შევქმენით ქსელი, რომელიც მოიცავს ექვს დერეფანს, ექვს ურთიერთდაკავშირებულ მარშრუტს და არაერთ ქვეყანასა და პორტს. როგორც ვიცით, საქართველო აქტიურადაა ჩართული ამ პროცესებში. ძალიან მნიშვნელოვანია ის რომ ჩინეთ-საქართველოს შორის ხელი მოეწერა და ძალაში შევიდა თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება, როგორც ვიცით, ეს არის ჩვენ მიერ ამ რეგიონში ხელმოწერილი პირველი ამგვარი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება. გასულ წელს ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო მოცულობამ ერთ მილიარდ დოლარს გადააჭარბა, ხოლო წელს, პირ-

ველ ნახევარში უკვე 900 მილიონ დოლარს მიაღწია“, – აღნიშნა ჩინეთის წარმომადგენელმა.

ლიუ ჰუის განცხადებით, ჩინური კომპანიების ინვესტიციებით საქართველოში არაერთი საწარმო და კომპანია მუშაობს სხვადასხვა სექტორში.

„ვიცი, რომ საქართველო არის ყველაზე მოკლე მარშრუტი ევროპასა და აზიას შორის, დარწმუნებული ვარ და მჯერა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი იქნება დღევანდელი ფორუმი, ეს არის ძალიან მაღალი დონის ფორუმი, რომელსაც მოჰყვება ფართო გამოსმაურება საზოგადოების და მთავრობების მხრიდან. ეს სწორედ გამოსატყულებაა „აბრეშუმის გზის“ სულიკვეთების, დიდი იმედი გვაქვს, რომ დღევანდელ ფორუმზე კომპანიები და მთავრობის წარმომადგენლები აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას მოლაპარაკებებში და უფრო კარგად ითანამშრომლებენ“, – აღნიშნა მან.

ნურიელ რუბინი: მივსალმები საქართველოს მთავრობის ინიციატივას, გააღრმავოს განათლების რეფორმა, გაზარდოს სამუშაო ძალის უნარები

„თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმის“ გახსნითი პანელის – „ერთად საერთო მომავლისკენ: სტაბილური და მდგრადი ზრდის მოდელები“ ფარგლებში, ნიუ იორკის სტერნის ბიზნეს სკოლის ეკონომიკის პროფესორმა ნურიელ რუბინმა რეგიონში მიმდინარე სატრანსპორტო და ეკონომიკური პროექტები დადებითად შეაფასა და ამ კონტექსტში საქართველოს როლზე გაამახვილა ყურადღება.

მისი თქმით, ქვეყნებს, რეგიონებს, ევროპასა და აზიას შორის ურთიერთკავშირი ძალიან მნიშვნელოვანია, ქვეყანასა და რეგიონში ეკონომიკური ზრდისთვის.

ამასთან, პროფესორმა განათლების სფეროში რეფორმების განხორციელების მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება და დადებითად შეაფასა სა-

ქართველოს მთავრობის ამ მიმართულებით მიერ მიმდინარე რეფორმები.

„რამდენიმე ათწლეულის გაკვეთილი გახლავთ ადამიანური კაპიტალი, რომელიც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ინფრასტრუქტურული კაპიტალი, ზოგიერთ ქვეყანაში ფაქტიურად არ გააჩნიათ ბუნებრივი რესურსები, მაგალითად კორეას, იაპონიას, ისრაელს, სინგაპურს და ისინი მაღალი შემოსავლების ქვეყნები გახდნენ იმით, რომ ინვესტიციას ახდენენ საკუთარ ხალხში, უნარებში, განათლებაში. ამიტომ მივესალმები საქართველოს მთავრობის ინიციატივას, გააღრმავოს განათლების რეფორმა, გაზარდოს სამუშაო ძალის უნარები, რათა მოხდეს ციფრული და გლობალური ეკონომიკის გადარჩენა“, – განაცხადა ნიუ იორკის სტერნის ბიზნეს სკოლის ეკონომიკის პროფესორმა.

მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე რაღაც აბლაუბდა „მუქარის წერილს“ ებლაუჭებიან!

საქართველოს გენერალურ პროკურატურა აცხადებს, რომ მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიერ წარმოდგენილ „მუქარის წერილზე“ ეფექტური დაქტილოსკოპიური თუ სხვა სახის კვლევების ჩატარება გართულდება. შესაბამის განცხადებას გენერალური პროკურატურის პრესსამსახური ავრცელებს.

„დიდი საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, გვსურს, საზოგადოებას მივანოვოთ ინ-

ფორმაცია მამუკა ხაზარაძისა და ბადრი ჯაფარიძის მიერ გუშინ, საქართველოს გენერალურ პროკურატურაში წარმოდგენილი მასალების თაობაზე.

2019 წლის 21 ოქტომბერს მამუკა ხაზარაძემ და ბადრი ჯაფარიძემ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში წარმოდგინეს ბრიტანული კერძო კომპანიის მიერ ჩატარებული დაქტილოსკოპიური კვლევის ამსახველი დასკვნა, კომპაქტ-დისკი, ასევე, დაულუქავ, ღია კონვერ-

ტი მოთავსებული, მათი თქმით, „მუქარის წერილის დედანი“ და განცხადება, წარმოდგენილ მასალებზე შესაბამისი რეაგირების მოთხოვნით.

ალსანიშნავია, რომ ეს წერილი თვეების განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყანაში, პირთა განუსაზღვრელი წრისთვის ფიზიკურად ხელმისაწვდომი იყო, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მასზე ეფექტური დაქტილოსკოპიური თუ სხვა სახის კვლევების ჩატარებას.

მიუხედავად ამისა, პროკურატურის მიერ კანონის მოთხოვნათა დაცვით უკვე განხორციელდა წარმოდგენილი მასალების საპროცესო წესით დამაგრება და დალუქვა.

ამასთან, საქართველოს პროკურატურა მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, დეტალურად შეისწავლის განმცხადებლების მიერ წარმოდგენილ მასალებს და შესწავლის შედეგების შესახებ დამატებით მიანგვის ინფორმაციას საზოგადოებას, – ნათქვამია განცხადებაში.



სალომე ზურაბიშვილი ავსტრიის პრეზიდენტს შეხვდა

ტოქიოში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ალექსანდერ ვან დერ ბელენს შეხვდა. სალომე ზურაბიშვილმა ავსტრიულ მხარეს დეტალური ინფორმაცია მიანიჭა საქართველოში მიმდინარე პროცესების, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისა და საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში შექმნილი ვითარების შესახებ. მათ შორის ისაუბრა ბორდერიზაციის პროცესზე, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვასა და რუსეთიდან ავიარების შეჩერებაზე.

ამასთან, მხარეებმა განიხილეს ევროინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობა, ვიზალიბერალიზაცია და ცირკულარული მიგრაციის მნიშვნელობის საკითხები.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ცირკულარული მიგრაცია, როგორც მიგრაციის დაძლევის და საზღვარგარეთ დროებით ლეგალური დასაქმების მხარდაჭერი ინსტრუმენტი, საქართველოს ხელისუფლების პრიორიტეტს წარმოადგენს. ცირკულარული მიგრაციის სქემების საპილოტე ვერსიები წარმატებით ხორციელდება პოლონეთთან და ამ მიმართულებით თანამშრომლობაზე უკვე გამოთქვას მზაობა ბულგარეთმა, ესტონეთმა, უნგრეთმა და პორტუგალიამ. მხარეებმა ეკონომიკურ სფეროში თანამშრომლობით გაფართოების პერსპექტიული მიმართულებებიც განიხილეს. ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილი ავსტრიაში ვიზიტით მიიწვია.

ბათუმის პორტში აშშ-ის სამხედრო სომალდი „პორტერი“ შევიდა

ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო სომალდი USS Porter (DDG 78) ბათუმის ნავსადგურს ესტუმრა.

საქართველოში აშშ-ის საელჩოს ინფორმაციით, ვიზიტი ემსახურება აშშ-სა და საქართველოს შორის თანამშრომლობის განმტკიცებას რეგიონული მშვიდობისა და სტაბილურობის ხელშეწყობით. საელჩოს ცნობით, ეს გემის მეორე ვიზიტი საქართველოში, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აშშ-სა და საქართველოს შორის საზღვაო სფეროში თანამშრომლობას.

USS Porter (DDG 78) არის Arleigh Burke-ს კლასის მართვადი სარაკეტო გამანადგურებელი. სომალდს აქვს ტექნიკური მონაცემები, მოიგერიოს წყალქვეშა ნავები და ბალისტიკური რაკეტები.

USS Porter-ის ვიზიტის ფარგლებში, ამერიკელი მეზღვაურები მოინახულებენ ისტორიულ ადგილებს და გააღრმავებენ პარტნიორობას ქართველ კოლეგებთან.

აშშ-ის საზღვაო ძალების სომალდები ხშირად ოპერირებენ შავ ზღვაში მონტროს კონ-

ვენციისა და საერთაშორისო კანონების შესაბამისად.

USS Porter-ის მეთაურია კაპიტანი ქრეგ ტრენტი. სომალდზე იმყოფება 39 ოფიცერი და 282-კაციანი პერსონალი. სომალდის ზომებია: სიგრძე – 154 მეტრი, სიგანე – 20 მეტრი, წყალწყა – 11 მეტრი.

სომალდი USS Porter წარმოადგენს ესპანეთის როტის ნაწილს და აშშ-ის მეექვსე ფლოტის ოპერაციების სამოქმედო არეალში მონაწილეობას იღებს მრავალმხრივ მისიებში, ხელს

უნყოფს რა რეგიონის საზღვაო უსაფრთხოების დაცვასა და „ნატოს“ ოპერაციებისა და მისიების მხარდაჭერას ევროპაში.

მე-6 ფლოტი, რომლის სათაო ოფისი ნეაპოლშია, ახორციელებს ერთობლივ და საზღვაო ოპერაციების სრულ სპექტრს. ხშირად ეს ოპერაციები ტარდება მოკავშირე და უწყებათაშორის პარტნიორობით კოორდინირებულად, რათა ხელი შეუწყონ უსაფრთხოებასა და სტაბილურობას ევროპასა და აფრიკაში.



საქართველოში მენტორის სტატუსი 248 პედაგოგს აქვს

საქართველოში დღეის მონაცემებით, 248 მენტორი მასწავლებელია, მათგან 230 საჯარო სკოლებში ასწავლის, 18 კი, კერძოში, – ამის შესახებ საქართველოს „პირველ არსს“ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, უფროსი მასწავლებლის სტატუსი 29 693 პედაგოგს აქვს. მათგან 26 732 საჯარო სექტორში, 2 961 კი, კერძო სკოლებში მუ-



შაობს. ნამყვანის სტატუსი 2 967 პედაგოგს აქვს – 2 767 საჯარო სკოლებში მუშაობს, 200 კი კერძოში.

რაც შეეხება პრაქტიკოს მასწავლებლებს, მათი რაოდენობა 22 774-ს აღწევს, საიდანაც 20 300 საჯარო სკოლის პედაგოგია, 2 474 კი კერძო სასწავლო დაწესებულებაში ასწავლის. ამ მომენტისთვის, საქართველოში ჯამში 55 682 პედაგოგია, მათგან 50 029 საჯარო სკოლებშია დასაქმებული, 5 653 კი – კერძოში. ახალი სასწავლო წლიდან ყველა პედაგოგს, რომელსაც აქვს სტატუსი და სულ მცირე, 15 საგაკვეთილო საათი, ანაზღაურება 150 ლარით გაეზარდა.

საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე საუბარი ნაადრევია

– ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ანდრეი რუდევომ რუსულ მედიას განუცხადა. მისი თქმით, ჯერ აუცილებელია კრიზისამდე არსებულ ვითარებასთან დაბრუნება.

„რაც შეეხება საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ვიზების გაუქმებას, ეს საკითხი ნამდვილად განიხილებოდა ივენისის ვოლენებამდე“, – განაცხადა რუდევომ და დასძინა, რომ საქართველოს წინააღმდეგ შემდგომი სანქციები თბილისში, ივენისში მომხდარი ანტირუსული პროვოკაციების პასუხად დაწესდა.

„ამ ეტაპზე ამაზე საუბარი ნაადრევია. საჭიროა სულ მცირე კრიზისამდე არსებულ ვითარებამდე დაბრუნება“, – აღნიშნა რუდევომ. 20 ივენისის საპარლამენტო შორისო მართლმადიდებლურ ასამბლეაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სავარძელზე რუსი დეპუტატის სერგეი გავრილოვის მოკალათებას მასობრივი პროტესტი მოჰყვა. საპროტესტო აქცია ხელისუფლებამ ცრემლსადენი გაზითა და რეზინის ტყვიებით დაშალა, დაშავდა 240 ადამიანი. 20-21 ივენისის მოვლენების შემდეგ რუსეთმა საქართველოსთან ავიმომოსვლა შეწყვიტა.



თბილისში აფეთქებების რაოდენობა მოძველებული გამათბობლების გამო მატულობს, აცხადებენ ექსპერტები. მთავრობა ახალი რეგულაციების შემოღებას გეგმავს.

„ის აპარატები, რომლებიც თავის დროზე მოსახლეობამ დააყენა, მოძველდა. გამოცვლით არ ცვლიან და აფეთქებებიც ამიტომ ხდება“, – ამბობს ენერგეტიკის ექსპერტი გიორგი ჭალიაშვილი.

თბილისში შენობები გაზიფიკაციას მორგებული არ არის. ქალაქის დიდი მასივები აშენდა საბჭოთა კავშირის პერიოდში, როდესაც გასათბობად ელექტროენერგია გამოიყენებოდა. დღეს გაზის გარე ქსელების ნაწილი მიწის ზედაპირზე არის გაყვანილი.

„ამ მიწების თითქმის 90 პროცენტი გაზს აპარებს. ახლოს რომ მიხვიდეთ, იგრძნობთ გაზის სუსტი სუნი. ავტოავარიის შემთხვევაშიც შეიძლება დაზიანდეს. გარდა ამისა, შედეგებილი რომელიც არ არის, უანგდება და დროთა განმავლობაში შეიძლება გაზი გაუშვას. ევროპაში ვინც კი არის ნამყოფი, ასეთი მიწები არსად ექნება ნანახი“, – ამბობს გიორგი ჭალიაშვილი.

გაზის მეურნეობის ექსპერტი სოსო სიმონიშვილიც ამბობს, რომ მაღალსართულიან კორპუსებში გაზის გაყვანა საერთოდ არ არის რეკომენდებული.

უსაფრთხოების დონის გასაზრდელად ხელისუფლება საკანონმდებლო ცვლილებებს გეგმავს. ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წარმომადგენელი გიორგი ფანგანი ამბობს, რომ ცვლილებები რამდენიმე ეტაპად არის დაგეგმილი.

გაზის გაათბობელი თვითნაკეთი ბოიბო!



● გარდამავალ ეტაპზე შიდა ქსელებს ისევ ძველი სტრუქტურები შეამონებენ. თუმცა, თუ მოქალაქემ ჩახსნილი კუსტარული დანადგარი თვითნებურად მაინც დაამონტაჟა, ის, დაახლოებით, 200 ლარით დაჯარიმდება.

● აპარატურის დამონტაჟების უფლება მხოლოდ სერტიფიცირებულ ხელოსნებს მიეცემა.

● 2023 წლიდან ჩამოყალიბდებიან აკრედიტებული კერძო სამართლის იურიდიული პირები. ბუნებრივი აირის ქსელებს სწორედ ეს კომპანიები შეამონებენ. შემონებას სავალდებულოა.

● შემონების საფასურს თავად მომხმარებელი იხდის. თუ პირი უარს იტყვის შემონებაზე, მას ბუნებრივი აირის მიწოდებას შეუწყვეტენ.

„შეგვიძლია ავტომობილების ტექნოლოგიების გამოყენება“



ვალდებულებასთან გავაგვლოთ პარალელი. რატომ არის ტექნოლოგიები აუცილებელი? იმიტომ რომ გაუმართაობამ შესაძლოა საფრთხე სხვას შეუქმნას. ის არ გუშინებს, რომ ფული არა მაქვს და ვერ შევამონებ, არ გამოდგება“, – ამბობს გიორგი ფანგანი.

„დღეს, წამოსვლისას, გაზი მოგუშვით, ცხვირი დაგადე და სამი წუთის მერე ძლივს ვიგრძენი სუნი. ძალიან ძვირია ბუნებრივი აირის არომატიზება და ამ თანხას ზოგავენ“, – ამბობს გიორგი ჭალიაშვილი.

თავის მხრივ, „სემეკში“ აცხადებენ, რომ ბუნებრივი აირს ოდორანტი საკმაოდ აქვს დამატებული. გიორგი ფანგანის თქმით, „ამაზე მეტი არ შეიძლება. ერთხელ ცოტა მეტი ოდორანტი დაამატეს და გახსოვთ, ალბათ, ყველგან გაზის სუნი იდგა“.

„თბილისი ენერჯის“ ინფორმაციით, შემონების ჯგუფის მიერ კუსტარულად ჩახსნილი დანადგარების რიცხვი 7 000-ს სცილდება.

„ერთ-ერთ რაიონში ხელმეორე შემონებისას აღმოჩნდა, რომ 5000-მდე აბონენტმა ხელმეორედ მოახდინა კუსტარულად დანადგარის მიერთება“, – განაცხადა „თბილისი ენერჯის“ წარმომადგენელმა.

კომპანიამ ასევე ჩამოთვალა 6 უბანი, სადაც მიმდინარე წლის 9 თვის განმავლობაში დემონტაჟის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები აღირიცხა: სანჯონა, სამგორი, გლდანის, ჩუღურეთი, ისანი და ვაზისუბანი.

როგორც ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე დამოუკიდებელი ექსპერტები თანხმდებიან იმაზე, რომ საჭიროა მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება. ექსპერტ სოსო სიმონიშვილის თქმით, მოსახლეობას შეუძლია უსაფრთხოების ყველაზე იოლ გზას მაინც მიმართოს და ფანჯარა გამოალოს.

„თუ ოთახი ნიავედება, არც აფეთქება მოხდება და არც არავინ გაიგუდება. მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რომ ფანჯარა, ოდნავ მაინც, ყოველთვის უნდა იყოს გამოღებული“, – ამბობს სოსო სიმონიშვილი.

თბა თოფურია

რატომ გაიჭადა 150-მილიონიანი ინტერნეტიზაციის პროექტი?

სამხრეთ-დასავლეთი ინტერნეტიზაციის პროექტი, რომელიც წინა არჩევნების დროს დიდი ზარზე იმით დაანონსდა, საერთოდ ჰაერშია გამოკიდებული. 150-მილიონიანი პროექტი არავის გაახსენებოდა, ამ მივნიწყული თემით მედია რომ არ დაინტერესებულყო. „ქართული ოცნების“ 2016 წლის წინასაარჩევნო პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი

ბის სახელმწიფო პროგრამის განხორციელების მიზნით, ეკონომიკის სამინისტროს „ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ“ 2015 წლის 21 ივლისს ა(ა)იპ „ოუფენ ნეტიც“ კი დააფუძნა. „ქართუმ“ ინტერნეტიზაციის პროექტი, დაანონსებული 150 მილიონი დოლარის ნაცვლად, ჯერჯერობით, 3 მილიონი ლარით დააფინანსა. აღნიშნული

მაგრამ ის ასევე შესაძლებლობას მცირე და საოჯახო სასტუმროების განვითარებისთვის შექმნის, ამ კუთხით რეგიონები იქნება შერჩეული. ამის შემდეგ ბიუჯეტი დაზუსტდება და ფონდმა ქართუმ კვლავ დადასტურა მზადყოფნა, როგორც ეს აქამდე იყო, მონაწილეობა მიიღოს ამ პროექტში, როდესაც ჩვენ ბიუჯეტს დავაზუსტებთ შემდეგ ჩვენ დაფინანსების წყაროებს გადავწყვეტთ“, – განაცხადა თურნავამ.

„ქართუს“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ჩხეტიანი კი ამბობს, რომ ფონდი ყოველთვის გვერდში ედგა სახელმწიფოს და იქ ეხმარება, სადაც მას უჭირს და არ აქვს შესაბამისი სახსრები.

„როცა სახელმწიფოს გაუჩნდება საკუთარი სახსრები, მან თავად განაგრძოს ამ პროექტის განხორციელება. თუ სახელმწიფოს კვლავ ექნება იმის საჭიროება, რომ ფონდი „ქართუ“ დაემართოს, ჩვენ ყოველთვის გვერდში დავუდგებით“, – აღნიშნა ჩხეტიანმა. ბეძა დანელია



კახეთში გზის მშენებლობას აზიის განვითარების ბანკი დააფინანსებს

სამართლებლო რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ინფორმაციით, კახეთის რეგიონში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი, ბაკურციხე-წნორის შემოსავლელი გზის მშენებლობა განხორციელდება და მას აზიის განვითარების ბანკი დააფინანსებს.

ბაკურციხე-წნორის შემოსავლელი გზა დაახლოებით 16 კმ. სიგრძის იქნება. ეს გზა კახეთის ერთ-ერთი ძირითადი გზის, თბილისი-ბაკურციხე-ულაგოდეხის საავტომობილო გზის ნაწილია. აღნიშნული მონაკვეთი მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე გადის და სატრანსპორტო მოძრაობის მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა, რაც ავტოსაგზაო შემთხვევების მაღალ სიხშირეს განაპირობებს.

არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, დაგეგმილია შემოსავლელი გზის მოწყობა ალანის ველის მხარეს, რომელიც დააკავშირებს თბილისი-ბაკურციხე-ულაგოდეხის საერთაშორისო გზას არსებულ შიდასახელმწიფოებრივ გზასთან, მჭიდროდ დასახლებული სოფლების: ბაკურციხის, კარდენახის, ანაგის, ვაქირის, მაშნაარის, საქობოს და წნორის გვერდის ავლით.



ნაწილი ინფრასტრუქტურის განვითარება იყო, რომლის ფარგლებშიც პარტია მოსახლეობას სრულ ინტერნეტიზაციას პირიქით. პროგრამის მიხედვით, 2020 წლისათვის 8 000-კილომეტრიანი ინფრასტრუქტურა უნდა აშენებულიყო, რის შედეგადაც 800 000 ადამიანი მიიღებდა ინტერნეტს. ჯამში ქვეყნის მოსახლეობის 90%-ზე მეტს ექნებოდა ვირტუალურ ქსელზე წვდომა. მოსახლეობის სრულ ინტერნეტიზაციაზე საუბარი 2018-20 წლის სამთავრობო პროგრამაშიც. საქართველოში ფართოზოლოვანი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარე-

თანა გერმანულ კომპანიას გადაუხადეს, რომელმაც გამოიკვლია, რომელ ქალაქებსა თუ სოფლებში იყო ინტერნეტიზაციის საჭიროება.

ეკონომიკის მინისტრი ნათია თურნავა მხოლოდ ახლა აცხადებს, რომ საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი იწყება. მისი თქმით, მთავრობას სურს, პირველ რიგში, ის რეგიონები გამოვკვეთოს, სადაც ტურისტული პოტენციალის განვითარების შესაძლებლობაა.

„საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროექტი, ის თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, რადგან ოჯახებისთვის ხარისხიანი ინტერნეტი იქნება მიწოდებული,

ფონიჭალელთა პროტესტი

ფონიჭალის მოსახლეობის საინიციატივო ჯგუფის წევრები თბილისი-რუსთავის ავტობანის პროექტის ფარგლებში ალტერნატიული საცხოვრებელი დაკმაყოფილებას ითხოვენ. ამის შესახებ მათ პრეს-კონფერენციაზე ისაუბრეს.

მათი თქმით, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ფონიჭალაში მდებარე ათამდე კორპუსს საფრთხე ემუქრება.

ჯგუფის წევრები ინფრასტრუქტურის მინისტრთან შეხვედრას ითხოვენ და ამბობენ, რომ მათთან რაიმე სახის შეთავაზებით არავინ მისულა.

საინიციატივო ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, რომ პროექტის განხორციელებას არ ეწინააღმდეგებიან.



1990-1991 წლებიდან მოყოლებული ქართულ სინამდვილეში მრავალგზის დაისვა კითხვები: საით მივდივართ? რას ვესწრავთ? სწორია კი ის, რასაც ვაკეთებთ? რა იქნება ხვალი, პერსპექტივა? — ამ კითხვების დასმა სრულიად ბუნებრივი და კანონზომიერი იყო მაშინ-

ნაც, 30 წლის წინათ და დღესაც. უამრავი საპოლიტიკო კითხვიდან ყველაზე მნიშვნელოვანი და საჭირობოტო საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი იყო. დღესაც ასეა. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ საყვარელი გარეგანი გამოხატა თავისი აზრი საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის თაობაზე, თუმცა ეს უმცირესობას არ ართმევს იმის უფლებას, რომ აზრი გამოთქვას. ღმერთმა ადამიანს ნების გამოხატვის, არჩევნის თავისუფლება მისცა, თუმცა ადამიანის არჩევანი ყოველთვის ქვეშევრდომი არ არის.

ნიჩარის“ ხელნაწერი დედანი. პირველ ბეჭდურ ტექსტში ამ საბჭოთა ეპოქის გამოცემებში იკითხება: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალებსა?“, ხელნაწერში კი იკითხება: „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ჩრდილოეთსა?“ ასე რომ, ილია ჩრდილოეთის უღალატო მეგობარი არასდროს ყოფილა!

ო. ხახაშვილი ნივს გზას დამღუპველს უწოდებს იმიტომ, რომ 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგა და შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა. ანდრეი ევიფანცევიც ნოე ყორდანიასა და მისი თანამებრძოლების მიერ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა რუსეთის ღალატად მიიჩნია და რა სავალატოა, რომ ევიფანცევის ცინიკურ განცხადებებს მხარს უჭერს და იწინებს ომარ ხახაშვილს. უფრო მეტიც, წერილის ავტორი აღნიშნავს, რომ ნოე ყორდანიას მიერ ღალატის დადგენილი საქართველო (იგულისხმება: საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და ევროპული ორიენტაციის აღიარება — **3. ბ.**) იოსებ სტალინსა და სერგო ორჯონიკიძეს გადაურჩენიათ! როგორც ვხედავთ, 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობას ომარ ხახაშვილი საქართველოს გადარჩენად მიიჩნევს. ავტორი იმის შესახებ არაფერს გვეუბნება, თუ კითხვის იყოს ეს გადარჩენა და ვისთვის — დაღუპულ. თუმცა ქვემოთ საყვარელი არაორაზროვნად აღნიშნავს, რომ სტალინმა და ორჯონიკიძემ თბილისისა და ქუთაისის გუბერნიები „წარმატებულ და ბედნიერ საქართველოს სსრ-დ“ გადააქციეს.

წერილის ავტორის პოზიციის გარკვევის მიზნით აუცილებელია, დაისვას კითხვა: ვისთვის იყო საქართველოს სსრ ბედნიერი და წარმატებული? 1921 წელს და მომდევნო წლებში საქართველოდან გადახვეწილი და უცხოეთის მიწას მიბარებული უამრავი ქართველისათვის? XX საუკუნის 20-30-იან წლებში ამოუღებელი ქართველი ინტელიგენციის, სამღვდლოების, ბრწყინვალე ოციკოების თუ უღედამომად დარჩენილი, მძიმე ფსიქოლოგიური სტრესის ქვეშ აღზრდილი ბავშვებისათვის, რომელთაც ვერ გაიგეს, რაში იყვნენ დამნაშავენი? მსოფლიოს გადანაწილებისათვის ერთმანეთს შექცედილები გერმანია-საბჭოთა კავშირის ომში დაღუპული, დასახინჩებული ასიათასობით ქართველისათვის? ომის წლებსა და ომის შემდგომ დახვრეტილი და გადასახლებული ეროვნული მოძრაობის ახალგაზრდა თავკაცებისათვის? 1956 წლის 9 მარტსა და 1989 წლის 9 აპრილს გაუფლტოვი ქართველებისათვის? შიდა ქართლსა და აფხაზეთში დაღუპული, ცოცხლად დამწვარი ქართველებისათვის? — არა, ბატონო ომარ! საქართველოს სსრ ქართველი ერისათვის ბედნიერების მომტანი არ ყოფილა, ისევე, როგორც არც ერთ ქვეყანაში დიქტატორულ რეჟიმს ბედნიერება არ მოუტანია, რადგან ყველა რეჟიმი დიქტატორის და მისი დასაყრდენი პოლიტიკური და სამხედრო ელიტის ინტერესებს ემსახურება და არა — ერს. ამიტომ იყო, რომ ყველა დიქტატორულმა რეჟიმმა ისე სამარცხვინოდ დაასრულა არსებობა, როგორც — საბჭოთა რეჟიმმა.

ანდრეი ევიფანცევიცს აზრით, რომელსაც იზიარებს ო. ხახაშვილი, საქართველო ბედნიერი იყო იმიტომ, „საქართველოს თავზე რუსეთის ვარსკვლავი ამოვიდა“. ამ შემთხვევაში ო. ხახაშვილი ევიფანცევიცს საყვედურობს, რომ მან ზემოთ თქმულს არ დააყოლა: „რუსეთის თავზე ამოვიდა საქართველოს ვარსკვლავი!“ ცხადია, ამ შემთხვევაში რუსეთის ცაზე ამოსული ვარსკვლავად ავტორი იოსებ სტალინს გულისხმობს. ბატონო ომარ, ჩემი რჩევაა, ფრთხილად იყავით, ემანდ ანდრეი ევიფანცევიც არ მოგიბრუნდეთ და არ გითხრათ: თქვენი საქმე არ არის, რუსეთის ცაზე ამოსული და ჩასული ვარსკვლავების თვლაო!

ო. ხახაშვილის წერილში ერთი ფაქტობრივი უზუსტობაც არის გაპარული: „ერეკლე მეორის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის დადების შემდეგ ოსმალეთთან „თავდაუსხმელობის ხელშეკრულების“ გაფორმება შეიძლება შეცდომად ჩაითვალოს, მაგრამ ღალატად ვერ შევსადგებ...“ ისტორიული სინამდვილე ასეთია: ერეკლე II-ს ოსმალეთთან არანაირი ხელშეკრულება არასოდეს დაუდია, არც გეორგიევსკის ტრაქტატის დადებამდე და არც მის შემდეგ. 1786 წლის 12 სექტემბერს სამშვიდობო ხელშეკრულება დაიდო ქართლ-კახეთის სამეფოს და ახალციხის საფაშოს შორის. ეს იყო და ეს. შემდგომში მოლაპარაკებები ოსმალეთთან 1787 წელს დაწყებული რუსეთ-ოსმალეთის ომის გამო შეწყდა.

წერილში ვკითხულობთ: „დიდ სამამულე ომში რუსებთან ერთად მებრძოლი მოხუცი ქართველები 2008 წლის აგვისტოში საქართველოში საომრად შემოსულ რუს ჯარისკაცებს პურ-ღვინით რომ შეეგებნენ...“ ბატონო ომარ, იქნებ მითხრათ, სად მოხდა ეს, ვინ შეეგება პურ-ღვინით რუსის ჯარს?! ამის გაგება ერთადერთი მიზნით მსურს: თუ ეს მართლა მოხდა, მინდა, თვალში ჩაგხედო ამის ჩამდენს.

ბატონ ომარ ხახაშვილი ვერ დაეუკარგავთ, რომ დროდადრო ანდრეი ევიფანცევიცს უწყრება და თუ ეს წყრომა გულწრფელია, მაღლობის მეტი რა გვეთქმის!

და მაინც, ალბათ, ომარ ხახაშვილს სურს გაიგოს, რომელ გზას ვაღიარებ მე, ილიას გზას თუ ნოეს გზას. მე მიმაჩნია, რომ საქართველოს გზა ერთადერთი და უცვლელია: ფარნავაზის, ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, გიორგი ბრწყინვალის, ილია ჭავჭავაძის გზა, ანუ დამპყრობელთან შეურთებლობის, კავკასიის გეოპოლიტიკურ რეგიონში ქართული სახელმწიფოს შენარჩუნების გზა!

ვახტანგ გურული,
საქართველოს საპარტიო რევიზორი
ანდრეი პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის
პროფესორი, ისტორიის
მეცნიერებათა დოქტორი.

პიბლაროი ისაპ მრავალჯერ ნამღაერი?

ნოეს გზით თუ ილიას გზით?

ნოეს გზით თუ ილიას გზით?

ნოე ყორდანიას გზა და ილია ჭავჭავაძის გზა — ეს არის საქართველოს ორი ძირითადი პოლიტიკური ორიენტაცია. ნოე ყორდანიას გზა — ეს არის ევროპული ორიენტაცია, ევროპული მართლმადიდებლობა, ევროპული დემოკრატია. ილია ჭავჭავაძის გზა — ეს არის რუსული ორიენტაცია, რუსული მართლმადიდებლობა, რუსული დიქტატორია. ორივე გზა საქართველოსთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ დღეს საქართველოსთვის უფრო მნიშვნელოვანია ნოე ყორდანიას გზა, ევროპული ორიენტაცია.

დიდ ქართველ მეცნიერს ბავლე ინგოროვყას უთქვამს: შეცდომა ადამიანის მიდრეკილებაა, მაგრამ საოცარია ის, ზოგიერთი ქართველი მეცნიერი ყოველთვის სამშობლოს მტრების სასარგებლოდ რომ ცდებო. ბავლე ინგოროვყას ეს სიტყვები უნებურად გამახსენდა, როდესაც ბატონ ომარ ხახაშვილის საპოლიტიკო წერილი: „ნოეს გზით თუ ილიას გზით?“ — ნაკვირვებ („საქართველოს რესპუბლიკა“, 17. 10. 2019). ისე კი, ბატონ ომარ ხახაშვილს ვურჩევდი, ამ წერილს თუ სადმე მეორედ დაბეჭდავს, სათაურში რიგი შეცვალოს: „ილიას გზით თუ ნოეს გზით?“ ეს იმიტომ, რომ ილია და ნოე სულ სხვადასხვა განზომილებებია, ილია ერის მამა და საქართველოს უგვირგვინო მეფე იყო, ნოე კი — გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარებული ლიდერი. ნოეს ილიას წინ დგომის პრეტენზია არასდროს ჰქონია, თუმცა მასთან ცხარე პოლემიკაში იყო ჩაბმული. ილიას მკვლელობის შემდეგ ნოე ყორდანიას რომ საქართველოს პოლიტიკურ ლიდერთა შორის პირველობდა, ილიას დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანა, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ილიასა და ნოეს შორის ტოლობის ნიშანი დავსვათ. **დასკვნა: ილიას გზა ქართულ რეალობაში ნამდვილად არსებობდა, ნოეს გზა კი — არა.** თუ ნოე ყორდანიას გზის არსებობას მაინც დავიჩინებთ, მაშინ მავანი იკითხება: რატომ არ აღიარებთ არჩილ ვარუჯაძის გზას, ზვიად გამსახურდიას გზას? რატო რაიმე ვარაი და დადებითი იყო ნოეს, არჩილისა და ზვიადის აზროვნებასა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში, ილიასეული იყო, ამიტომაც ნაწილი მიუღეს ვერსადროს ვერ გაუტოლდებო.

კიდევ ერთი პატარა უხერხულობის შესახებ, რასაც ო. ხახაშვილის წერილში ნაკვეთი: ფრანზა „სტალინმა ორჯონიკიძესთან ერთად...“ სხვა რომ არა იყოს რა, უხერხულია. სტალინმა მსოფლიოში მანამდე არნახული ექსპერიმენტი ჩაატარა, რომლის შედეგადაც მივიღეთ საბჭოთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა. ამ სისტემამ გარკვეულწილად განსაზღვრა მასშინდელი მსოფლიოს განვითარება, ორ მტრულ ბანაკად გაყო სამყარო, ხოლო მისი ლიკვიდაციის შემდეგ მსოფლიო ისევ ახალი რეალობის წინაშე დადგა უამრავი პრობლემით და დღემდე მოუგვარებელი კონფლიქტებით. რას წარმოადგენდა ამ პროცესში სერგო ორჯონიკიძე? — რიგითი, გაუნდობელი, მახურბიანი ბოლშევიკი, რომელიც ხელის ბიჭად თუ გამოდგებოდა, 1921 წელსა და მომდევნო ხანებშიც მან სწორედ ეს როლი მოიხრგო.

ო. ხახაშვილის წერილის გაცნობამ დამარწმუნა, რომ პირობითად იგი ორ ნაწილად შეიძლება გაიყოს: **ისტორიული კონტექსტი** (ძალზე უსუსური, მავანის და მავანის მიერ ამ 30 წლის განმავლობაში ბევრჯერ განმეორებული) და **პოლიტიკური კონტექსტი** (უსუსური, თუმცა დღესაც გარკვეული პოლიტიკური ძალის ინტერესების სრულიად ამჟამად გამოხატული).

თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ ო. ხახაშვილის წერილის ისტორიული კონტექსტი უკვე ბევრჯერ ნამღერ სიმღერას ჰგავს, უკვე გასროლილ თოფს მოგვაგონებს. შედეგი გარდაუვალია: ამ სიმღერას საქართველოში უკვე ცოტა თუ მოუხმენს! გასროლილი თოფით კი ბელურებაც ვეღარ დაამინებ! ასეა, სიცრუის აგორება კი შეიძლება, მაგრამ სიცრუე იგორებს, იგორებს და თუ ახალი სიცრუე არ გამოიგონე, ძველით აღარავინ დაინტერესდება. „სიცრუის ბაზარსაც“ იგივე კანონზომიერება მართავს, რაც ჩვეულებრივს: უფარვის საქონელს არავინ ყიდულობს.

წერილის პოლიტიკური კონტექსტი გარკვეული პოლიტიკური ძალის პროზიციას გამოხატავს და სანამ ეს პოლიტიკური ძალა იარსებებს, ისიც იარსებებს. აქ გარკვეული სიცხადის შეტანა საჭიროა, ეს კი ო. ხახაშვილის წერილის ერთი ადგილის კომენტარებას მოითხოვს. ბატონ ომარს არ მოსწონს, რომ მე ანდრეი ევიფანცევიც კონკრეტული პოლიტიკური ძალის, კონკრეტული სახელმწიფოს ინტერესების გამოხატულებად და იდეოლოგიად გამოვაცხადე. ო. ხახაშვილი წერს: „დღევანდელ არეულ დროში რას გაიგებ, ვინ ვის ნისქელებზე უშვებს წყალს?“ მართალია, ავტორის კონკრეტულად არავინ დაუსახლებია, ისე კი, მგონია, მე მგულისხმობდა. მე ბუნდოვანი განონათქვამები არ მჩვევია, ამიტომ ამჯერადაც სრულიად გარკვევით ვიტყვი: **ანდრეი ევიფანცევიც და ომარ ხახაშვილი რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის და რუსეთის მესხეთე კოლონის ნისქელებზე ასხამენ წყალს!**

აზრის გამოთქმის უფლებას ვერავის წაართმევ, ვერც ანდრეი ევიფანცევიცს, ვერც ომარ ხახაშვილს და ვერც ედუარდ შევარდნაძეს. ამაზე ალბათ თვითონ ბატონი ომარიც არ დავობს, თუმცა ერთი პატარა უზუსტობა მაინც მოუვიდა. წერილში ვკითხულობთ: „პირველი, ვინც რუსი მკვლევარის (ა. ევიფანცევის) — **3. ბ.**) ინტერნეტვიდეოში გამოქვეყნებულ სტატიას შეუშვოთებია, გაბატონებული ამხანაგი ედუარდ შევარდნაძე ყოფილა.“ მცირე ფაქტობრივი უზუსტობაა: ანდრეი ევიფანცევის წერილმა იმთავითვე სასტიკად აღაშფოთა აკადემიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე, რომელმაც საპასუხო წერილის დაწერა მოხოვა. აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა ჩემს სტატიას: „გაყალბებული ისტორია ჰეგემონისტური პოლიტიკის სამსახურში“ — ჟურნალ „მაცნეში“ დაუთმო ადგილი. ანდრეი ევიფანცევის წერილზე უარყოფითი რეაქცია ჰქონდათ სტუდენტებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ანდრია პირველწოდებულის სახ. ქართულ უნივერსიტეტში, ბევრ ჩემს კოლეგასა და მეგობარს, რომელთაც ასევე მთხოვეს საპასუხო წერილის დაწერა.

ასე რომ, ედუარდ შევარდნაძე აღმოვითვალთ პირველ რიგში არ ყოფილა, წერილმა ბევრი ქართველი ააფორიაქა, მინდობდა მეთქვა, **პატრიოტი ქართველი**, მაგრამ თავი შევიკავე, რადგანაც, სამწუხაროდ, ბევრი ამ სიტყვას უკვე ირონიულად იხსენიებს. ბატონი ო. ხახაშვილი წერს: „ისტორიის გაყალბება და რომელიმე პოლიტიკური ძალის ნისქელებზე წყლის მიშვება მიუტევებელი საქციელია, მით უმეტეს, ისტორიკოსისათვის, თუნდაც იგი პატრიოტიული არგუმენტებით მანიპულირებდეს, რამეთუ ისტორიკოსობასა და პატრიოტიზმს „შუა უზის დიდი მზღვარი“. მართალია, აქ ჩემი სახელი და გვარი არ იხსენიება, მაგრამ, ცხადია, წერილის მთავარი ფიგურანტი მე ვარ, ამიტომ სრულიად გასაგებად მინდა ვთქვა: **ნეტა, ღმერთმა მომცეს ძალა, და საქართველოს პატრიოტმა შემამძღვინოს!** ხშირად შიში მიპყრობს: უახლოეს ან შორეულ მომავალში რიცხვით მრავალსა და რიცხვით მცირე ერებს ხომ არ ეშუქრებათ საფრთხე, რომ **პატრიოტობა დანაშაულად სიტყვად იქნეს და სამშობლოს სიყვარული კი დასაშაულად შეჩაგონ...** რაც შეეხება მანიპულირებას, ოსახაშვილის ერთ ქართულ ანდაზას შევასხენებ: „ჩემი შენ გითხარო...“ ისევ პირდაპირ გეტყვით, ბატონო ომარ, თქვენს წერილში ვიგრძენი მანიპულირება ილია ჭავჭავაძით, ნოე ყორდანიასთან, იოსებ სტალინით, სერგო ორჯონიკიძით, ედუარდ შევარდნაძით... ამას მხოლოდ იმიტომ აკეთებთ, რომ ანდრეი ევიფანცევიც გაამართლოთ.

ზემოთ აღვნიშნე, რომ ო. ხახაშვილის წერილის ისტორიული კონტექსტი ძალზე უსუსურია. აი, ამონაწერები წერილიდან: **1. „საქართველოს ორი გზა აქვს: ილიას გზა, ანუ გადარჩენის გზა და ნოეს გზა, ანუ დაღუპვის გზა.“; 2. „ილიას გზა კი ერთმნიშვნელოვნად ჩრდილოეთთან (იგულისხმე რუსეთი — 3. ბ.), უღალატო მეგობრობას ნიშნავს, რამაც ფიზიკურ დაღუპვას გადაარჩინა საქართველო; როგორც ნოეს გზა — გადარჩენილი ჩრდილოეთის ღალატს და დასავლეთის მომიჯნავეობას, რამაც კინაღამ დაღუპა იგი, სტალინსა და ორჯონიკიძეს სულზე რომ არ მოესწროთ მისთვის.“** განემარტავ: ო. ხახაშვილის აზრით, საქართველო სამუდამოდ რუსეთის შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყო და დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენაზე არასდროს არ უნდა ეფიქრა. როგორც ვერძო პირს, ო. ხახაშვილს ამის განცხადების უფლება აქვს, მაგრამ რუსეთთან უღალატო მეგობრობას რატომ მიანერს ილია ჭავჭავაძის? ვერ დავიჯერებ, რომ წერილის ავტორის ნაკითხული არ ჰქონდეს ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილის“ და არ ესმოდეს, ილიას სიტყვების არსი: **„ჩვენ ჩვენი თავი ჩვენად გვეყუდნენ, მით იყვის უკედ!“** ვერც იმას დავიჯერებ, რომ მას ნაკითხული არ ჰქონდეს ილიას ლექსის „ია-



(პირველი გვერდიდან)

ამისი დასტური იყო მისი პირველი-ვე კომპარტივისტული ნაშრომი ქართ-ველურ ენათა შედარებით ფონეტიკაში - სიმილანტა შესატყ-ვისობების შესახებ, რომელმაც მოგვცა ისეთი ზოგადმეთოდო-ლოგიური და ზოგადლინგვისტური მნიშვნელობის შედეგი, რო-მელიც „გამყრელიძის კანონის“ სახელით არის ცნობილი. შეიძლება ითქვას, ასეთი თეორიული სახელწოდება და „კანონები“ მუდმივად თან სდევდა თამაზ გამყრელიძის სამეცნიერო მოღვაწეობას, მის სახელს.

ქართულურ ენათა კვლევისა და ქართული მეცნიერების გან-ვითარების სრულიად ახალ ეტაპს განასახიერებს ფუნდამენტური მონოგრაფია „სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართულურ ენებში“ (1965), რომელიც გვიღიანობს თანავერობით შეიქმნა და რომელმაც ქართულურ ენათა ისტორიული გრამატიკის არ-სებობადა ახალი კონცეფცია შემოგვთავაზა, ხოლო თეორიული თვალ-საზრისით ეს იყო ახალი სამეცნიერო პარადიგმა, რითაც ეს მო-ნოგრაფია უმნიშვნელოვანეს მოვლენად იქცა არა მხოლოდ სა-მაშელო, არამედ საერთაშორისო შედარებით ენათმეცნიერება-ში, დიქციონარულ კვლევებში. მრავლისთქმელია ის ფაქტი, რომ ეს ნაშრომი გერმანულად ითარგმნა და გამოიცა.

თ. გამყრელიძემ თავისი გამორჩეული სიტყვა თქვა გრა-მატიკოლოგია-პალეოგრაფიის სფეროში; მან საგანგებო მონოგ-რაფია მიუძღვნა ქართული დამწერლობის სტრუქტურისა და ის-ტორიის ანალიზს: „წერის ანბანური სისტემა და ძველი ქართული დამწერლობა. ანბანური წერის ტიპოლოგია და წარმომავლობა“ (1989; მისი ინგლისური თარგმანი - 1995). ქართული დამწერ-ლობის შინაგანმა სისტემურმა ანალიზმა და მისმა სტრუქტურულ-ტიპოლოგიურმა შეპირისპირებამ ძველ სემიტურსა და ძველ გერმანულ დამწერლობებთან უფრო ცხადი გახადა ქართული ან-ბანის მიმართება სხვა სისტემის ანბანებთან, მისი ტიპოლოგი-ური ადვილი აღმოჩნდა ისტორიული პერიოდის დამწერლობათა (კობტური, გოთური, ძვ. სომხური, ძვ. სლავური) შორის.

აკად. თ. გამყრელიძის შემოქმედებითი მოვლენების კიდევ ერთი შთამბეჭდავი ფურცელია ცნობილი ენათმეცნიერთან ვია-ჩესლავ ივანოვთან თანავერობით შექმნილი ორტომიანი მო-ნოგრაფია „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები. ფუძე-ენისა და პროტო-კულტურის რეკონსტრუქცია და ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზი“ (1987), რომელშიც ავტორებმა ინდო-ევროპული ენის ბუნებისა და ინდოევროპულთა პირველსახე-ურის შესახებ სრულიად ახლებური თეორია შესთავაზეს მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებას. ამ თეორიის საფუძვლად აღებული ე.წ. გლოტალური თეორია პრინციპულად ახალი სამეცნი-ერო პარადიგმა იყო ინდოევროპულ ენათა შედარებითა და ტიპოლოგიურ კვლევებში და მისი გამოჩენა ინდოევროპისტიკ-ის ერთი შეხედვით გარკვეულსა და დალაგებულ სივრცეში ფი-გურალურად ტუგუსის მეტეორის ჩამოვარდნასთანავე კი იქნა შედარებული! რაც მთავარია, ამ ღრმა და მასშტაბურმა ნაშ-რომმა ახალი მიძცა მისცა ენათა და კულტურათა შედარებით-სა და ტიპოლოგიურ კვლევებს მთელ მსოფლიოში.

აკად. თ. გამყრელიძე მუდმივად იყო ახალ სამეცნიერო იდეათა და წამოწყებათა ინიციატორი და წარმმართველი. მისი უშუა-ლო ხელმძღვანელობით მეცნიერებათა აკადემიაში დღეს მუ-შავდება ისეთი მნიშვნელოვანი პროექტი, როგორც არის „ქარ-თული ენის თესაურუსი“ (ისტორიული ლექსიკონი) და ამ სა-მეცნიერო პროექტს საფუძვლად დაედო ცნობილი მეგვიდრობა, მისი ლექსიკონი ბაზები; ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ კომისიისა (დღეს „რუსთაველის კომიტეტი“) და მისი ბაზების გადარჩენა პირადად ბატონი თამაზის დამსახურებაა. მან არა მხოლოდ შე-ინარჩუნა ეს მეგვიდრობა და რესურსები, არამედ ქართულ-ლოგიური კვლევების თანამედროვე მოთხოვნებსაც ოპტიმალურად დაუქვემდებარა.

აკად. თ. გამყრელიძის დიდი წვლილი აქვს შეტანილი ქარ-თული მეცნიერების მართვის საქმეში. 1973-2005 წლებში იგი იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გიორგი წე-რეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორი, შემდგომ საპატიო დირექტორი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯ-დომარე; 1966 წლიდან ხელმძღვანელობდა თსუ სტრუქტურულ-ი და გამოყენებითი ლინგვისტიკის კათედრას (1999 წლიდან - ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრა, ხო-ლო ამჟამად - თეორიული და გამოყენებითი ენათმეცნიერე-ბის ინსტიტუტი). 2005-2013 წლებში იგი იყო საქართველოს მეც-ნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი, ხოლო 1913 წლის ივლისიდან ამავე აკადემიის საპატიო პრეზიდენტი; როგორც ითქვა, იგი ხელმძღვანელობს აკადემიის ერთ-ერთ სამეცნი-ერო სტრუქტურას - „რუსთაველის კომიტეტს“.

დიდი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე

აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე 90 წლისაა

განსაკუთრებულ სურათს ქმნის აკად. თამაზ გამყრელიძის მაღალი საერთაშორისო ავტორიტეტი და მისი ღირსებათა აღი-არების მართლაც შთამბეჭდავი ნუსხა:

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენ-ტად აირჩიეს 1967 წელს, ხოლო აკადემიკოსია 1974 წლიდან; საკავშირო (ამჟამად - რუსეთის) მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი 1984 წლიდან;

საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1979 წ.). ამას გარდა, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე არის:

„ამერიკის მეცნიერებათა ნაციონალური აკადემიის“ უცხოე-ლი წევრი (ქ. ვაშინგტონი);

„ამერიკის ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის“ უცხო-ელი საპატიო წევრი (ქ. კემბრიჯი);

„ევროპის მეცნიერებათა აკადემიის“ ნამდვილი წევრი (ქ. ლონ-დონი);

„მრიტანეთის აკადემიისა“ (ქ. ლონდონი) და „ავსტრიის მეც-ნიერებათა აკადემიის“ (ქ. ვენა) უცხოელი წევრი;

„უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის“ საპატიო წევრი (ქ. ბუ-დაპეშტი);

„საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის“ უცხოელი წევრი (ქ. ლაიფციგი);

„ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის“ უცხოელი წევრი (ქ. რიგა);

„მეცნიერებათა და ხელოვნებათა ევროპული აკადემიის“ წევრი (ქ. ბალცგრევი);

„ამერიკის ლინგვისტური საზოგადოების“ საპატიო წევრი (ქ. ვაშინგტონი);

„ევროპის ლინგვისტური საზოგადოების“ წევრი (იყო ამ „სა-ზოგადოების“ პრეზიდენტი 1986 წელს);

„ინდო-ევროპული საზოგადოების“ საპატიო წევრი (გერმა-ნიის ფედერაციული რესპუბლიკა).

არის ბონისა და ჩიკაგოს უნივერსიტეტების საპატიო დოქ-ტორი.

მას დამსახურებული აქვს ჰუმბოლდტის საერთაშორისო პრემია (გერმანია, 1989); ივ. ჯავახიშვილის სახელობის პრემია (თსუ, 1992); არის საქართველოს ღირსების ორდენის კავალერი (1999) და თბილისის საპატიო მოქალაქე (2000).

სრულიად განსაკუთრებული თამაზ გამყრელიძის ურთიერთობა საქართველოს წმინდა სამოციქულო ეკლესიასთან და მის სუ-ლიერ წინამძღოლთან. სწორედ მისი დამსახურება საქართვე-ლოს საპატრიარქოსა და მეცნიერებათა აკადემიის ესოდენ მჭიდრო საქმიანი თანამშრომლობა და ის, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ამშვენებს მეცნიერებათა აკადემიის შემადგენლობას, იგი 2005 წელს არჩეულ იქნა აკადემიის საპატიო წევრად. ამ ურ-თიერთობის თვალსაზრისით გამოვლინება იყო ისიც, რომ მსოფ-ლიო პატრიარქი, ბართოლომეოს მე-2 აკადემიას სტუმრობდა და არჩეულ იქნა აკადემიის უცხოელ საპატიო წევრად. საქარ-თველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ღირსეულად დააფასა თ. გამ-ყრელიძის ღვაწლი და მას 2013 წელს მცხეთის სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში გადასცა საქართველოს ეკლესიის უმაღ-ლესი ჯილდო, „წმინდა გიორგის ოქროს ორდენი“.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს დიდი მეცნიერის აქტი-ური პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის შესახებ. აკად. თამაზ გამყრელიძე იყო საქართველოს რესპუბლი-

კის უზენაესი საბჭოსა და რამდენიმე მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრი (1990-1992 და 1992-2003 წლებში); ხელმძღვანელობდა პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კო-მიტეტს. აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, როგორც საქარ-თველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი, არის ერთ-ერ-თი ხელისმომწერი საქართველოს სახელმწიფოებრივი დამო-უკიდებლობის აღდგენის აქტისა (1990 წლის 28 ოქტომბერი).

უფრო აღწერ მას აქტიურმა პოლიტიკურმა მოღვაწეობამ მოუწია საკავშირო ასპარეზზე. აკად. თ. გამყრელიძე 1985 წლიდან იყო სსრკ უზენაესი საბჭოს წევრი; იგი იყო საქართველოს დელე-გაციის წევრი ქ. მოსკოვში 1989 წელს გამართული სსრ კავში-რის სახალხო დემოკრატია ყრილობისა (25 მაისი-9 ივნისი), რო-მელზეც მან ისტორიული სიტყვა თქვა 9 აპრილის თბილისის მოვლენების შესახებ და ამ სისხლიან ანგარიშსწორებაში პირ-დაპირ ამხილა საბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო ხელმძღვა-ნელობა.

აკად. თამაზ გამყრელიძე განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა ეროვნულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო მემ-კვიდრეობას და ყველაფერს აკეთებდა მის დასაცავად. სწო-რედ მისი დამსახურებაა, რომ დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელი ჰქვია და ეს მოხდა 1989 წელს! მან ბევრი გააკეთა აკადემიის სამეცნიერო სისტემის შენარჩუნებისათვის და სახელოვანი მეცნიერული სკო-ლების გადარჩენისათვის. 2004 წლის შემდეგ იგი მკვეთრად დაუპირისპირდა დედაუნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკა-დემიის წევრების მიზანმიმართულ პოლიტიკას. შეიძლება ითქ-ვას, ისტორიის წინაშე ცოტა ვინმეს თუ შეუფასებია მაშინდელი ოფიციალის ქმედებები ისე პიროვნულად, როგორც ეს წარ-მოჩენილია მის პუბლიკაციებში 2005 წელს: „ივანე ჯავახიშვი-ლის „მესამე სიკვდილი“ („საქ. რესპ.“, „24 საათი“ და „ლიტ. საქ.“); „მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს“ („საქ. რესპ.“ და „რე-ზონ.“); „მიმართვა ნიდერლანდების ხელოვნებისა და მეცნი-ერებათა აკადემიის, ქ. ამსტერდამი; სრულიად ევროპული მეცნი-ერებათა აკადემიის ასოციაციის პრეზიდენტს, ბატონ პიტერ ღრენოს“ („24 საათი“); „ნუ ვაქტივინებთ შთამომავლობას, რომ „ვარდების რევოლუციამ“ დაანგრია საქართველოს მეცნიერე-ბათა აკადემია და მოსპო ქართული მეცნიერება“ („საქ. რესპ.“); „SOS: ინგრევა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკა-დემია და ქართული მეცნიერება“ („საქ. რესპ.“ და „რეზონ.“).

90 წლის თამაზ გამყრელიძე კვლავაც აქტიურად ფიქრობს და ზრუნავს ქართული მეცნიერების მომავალზე, მსჯელობს ქარ-თველოლოგიის შესაძლებლობებსა და პერსპექტივებზე; მონა-წილეობს დედაუნივერსიტეტისა და მეცნიერებათა აკადემიის საქ-მიანობაში, ქვეყნის კულტურულსა და საზოგადოებრივ ცხოვ-რებაში; მისი საერთაშორისო ავტორიტეტი და კავშირები ახა-ლი თაობის ქართველ მეცნიერთა მნიშვნელოვანი მეგობრია. იგი საუკეთესო მაგალითია სულიერი სიმტკიცისა, შემართებისა და ჯანსაღი ცხოვრებისა. გულთადად ვულოცავთ მას საი-უბილო თაონის, ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და სიმხნევეს და-სახული მიზნების აღსასრულებლად!

საპარტივლოს მიცნობათა იროვნული აკადემია

სიტყვა თამაზ გამყრელიძეს

საბამსოა, რომ დღეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სა-პატიო პრეზიდენტი მსოფლიოში აღი-არებული, სახელგანთქმული მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ნამ-დვილი წევრი, რუსეთის მეცნიერება-თა აკადემიის აკადემიკოსი, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების აკადემიებისა და ლინგვისტური საზოგადოებების წევრი თამაზ გამყრელიძეა.

მსოფლიოს გამოჩენილი ლინგვისტიკი ხაზს უსვამენ თამაზ გამყრელიძის შემოქ-მედებითი ხელწერისათვის ორ ძირითად მახასიათებელს: კვლევის საგნის ამომ-წურავი განხილვა და მისი ნიჭი ენათმეც-ნიერების რთული თეორიული პრობლე-მატიკის შეთავსებისა ინდოევროპული, ქარ-თველოური, სემიტური ლინგვისტური ოჯა-ნების მასალის ზედმიწევნით კვლევასთან. მეცნიერის კვლევის პრაქტიკისათვის არანაკლებ მნიშვნელოვან თვისებად მიჩ-ნეულია არატრივიალური მიდგომა უკვე ცნობილი ენობრივი ფაქტების ინტერ-პრეტაციისადმი.

არ შემოიძლია, მისი მოღვაწეობა უნი-

ვერსიტეტში კეთილად არ მოეხსენიოთ. ჩემთვის, როგორც უნივერსიტეტის რექ-ტორისთვის, მასთან ურთიერთობა სასარ-გებლო იყო. ბატონმა თამაზმა ბევრ სა-სარგებლო საქმეს დაუდო სათავე, გან-საკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საზღ-ვარგარეთის ბევრ უნივერსიტეტთან კონ-ტაქტები...

ორიოდე სიტყვა თამაზ გამყრელიძის ადამიანურ თვისებებზე. მისი ცხოვრება, ყოველდღიური საქმიანობა მეცნიერე-ბაში, ქვეყნისა და მშობელი ხალხისადმი ერთგულების ნათელი მაგალითია. იგი გა-მორჩეულია მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით. პრინციპული, მომთხროვნელი, ზედმიწევნით უნეტუალური. იგი ყოველ-თვის იჩენს ყურადღებასა და მზრუნველო-ბას კოლეგების მიმართ.

ბატონი თამაზი მაღალი კულტურისა და ფართო ეროდიციის ადამიანია. მისი დახვეწილი გემოვნება მიზანსწრაფულად სწავება ლიტერატურას თუ ხელოვნებას. კლასიკური მუსიკის შესანიშნავი მცოდნე თავად მშვენიერად უკრავს ფორტეპიანოზე. ჩვენს საზოგადოებას ახსოვს ბატონი თამაზის დიდი მცდელობა თბილისის უნი-

ვერსიტეტისათვის ივანე ჯავახიშვილის სა-ხელის მინიჭების თაობაზე. იმხანად ამა თუ იმ დაწესებულებისათვის სახელის მი-ნიჭება არც ისე იოლი იყო. ძალიან დი-დი პროცედურული ბარიერის გარდა სა-ზოგადოებრივი აზრის შექმნის აუცი-ლებლობა არსებობდა. ბატონმა თამაზ-მა, მისმა დიდმა ავტორიტეტმა, პრაქტი-კულად, გადაწყვიტა ეს საკითხი.

90 წელი ერთი ადამიანისათვის იქ-ნებ მნიშვნელოვანი დროა, ისტორიისათვის ერთი ამოსუნთქვაა. თამაზ გამყრელიძემ ეს დრო ქვეყნისა და ერის სასიკეთოდ გა-მოიყენა: პირველხარისხის პრაქტიკული შესძინა ქვეყანას და მსოფლიოს, თავა-დაც გაითქვა და ქართულ მეცნიერებასაც შორს გაუთქვა სახელი. იგი ხელხვაგაი-ნი ბარაქით შეხვდა თავის ობიექტს; შეხვდა ძლიერი, მხნე, შემართებული.

მინდა, ვუსურვო ბატონ თამაზ გამყ-რელიძეს ახალი წარმატებები ჩვენი მეც-ნიერების შემდგომი განვითარებისა და მა-ღალი დონის შენარჩუნებისათვის.

როინ მებრძული
აკადემიკოსი

ყოველ იუბილას ნაღველის ახლავს...

თამაზ გამყრელიძის მეცნიერულ მოღვაწეობაზე გვერად იყო და არის დამოკიდებული ქართული უნივერსიტეტისა და ქართული აკადემიის სამეცნიერო პრესტიჟი შინ და გარეთ. მისი ცხოვრება და შემოქმედება, ახალი დროების, თანამედროვე ეპოქის ყველა სულიერი კატასტროფის შემდეგ – მეცნიერების გადარჩენის დასტურია.

საქმეში ჩაუხედავად ადამიანს თამაზ გამყრელიძე მეცნიერებაში „იდილიური ხაზის“ გამგრძელებლად შეიძლება მოეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში ყველაფერი უფრო რთულად იყო: მას არ უარუყვია თავისი მეცნიერული წარმომავლობა, რომლის სათანადო შეფასებაც შეძლო და დაფასებაც, ოღონდ, ამასთანავე, იგი მუდამ მიისწრაფვოდა და მიისწრაფვის გაჭრას მეცნიერული სივრცის საზღვრები. თამაზ გამყრელიძის ბევრი ლინგვისტური იდეის თანახმად თანამედროვე ენათმეცნიერების უახლეს თეორიებთან, ერთი მხრივ, ხოლო მეორე მხრივ, კონკრეტული ენობრივი ფაქტების კვლევაზე დამ-

ყარებული ფუნდამენტურ განზოგადებათა განუმეორებელი თავისებურება ყოველთვის იყო ჩართული ლინგვისტური ტრადიციის განვითარების ფართო პრესტიჟში, რამაც განსაზღვრა კიდევ დიდი მეცნიერის წვლილი XXI საუკუნის ჰუმანიტარული ცნობიერების გზათა გაკვლევაში.

თამაზ გამყრელიძის ნაშრომთა უზარმაზარი კორპუსი გვაოცებს თანამედროვეობითა და მიზანსწრაფულობით, მთლიანობით. ამ თვისებებს ღრმა ფესვები აქვს, შორეულ ყრმობამდე მიმავალი, როცა ყალიბდებოდა მისი პიროვნება, ნიჭიერებითა და შრომისმოყვარეობით გამოჩენილი.

მეგზი დრო გასულა, ბატონო თამაზ! ყოველ იუბილეს ოდნავი ნაღველიც ახლავს... ალბათ, იმიტომ, რომ იუბილური ვერ დაგვიზრუნებს განვლილ წლებს, მაგრამ Perat tristia! – დარწმუნებული ვარ, წინ ახალი გამარჯვებები იქნება. იცოცხლებო ძალიან დიდხანს ქართველი ხალხის სასახლოდ!

ბურჯა კვარაცხელია

ორი აკადემიკოსი ერთი ოჯახიდან

ლიბმის ისეთი თამაზა, რომლის დაძლევა კი არა, მასთან მიახლოებაც კი უაღრესად რთულია. ბატონი თამაზისაგან ვისწავლეთ სამეცნიერო ეთიკა. თავის ნაშრომებში იგი ყოველთვის უაღრესად კორექტულია. ერთ რამდენიმე ოპონენტთან მისი მაღალი რანგის სამეცნიერო პაექრობის მოსმენა. იგი არასდროს ამცირებს მოპაექრეს, მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები და არ ცდილობს, თავისი აზრი ვინმეს მოახვიოს თავს. ვერ ვიხსენებთ მის თუნდაც ერთ ჰუმბლუკადას, რომელიც ვინმეს კრიტიკას ეძღვნებოდა. მისი შემოქმედება გამოირჩევა მხოლოდ პოზიტივით, არგუმენტებზე დაფუძნებული კვლევის მანერით.

ბატონი თამაზ გამყრელიძე დიდი ოჯახის შვილია – ორი აკადემიკოსი ერთი ოჯახიდან! მას დიდი მასწავლებლები ჰყავდა. ალბათ, გახსოვთ, რა მართალი, ლაკონური და ზუსტი შეფასებები მიუძღვნა ბატონმა თამაზმა თავის მასწავლებლებს: აკაკი შანიძეს, გიორგი ახვლედიანს, არნოლდ ჩიქობავას, გიორგი წერეთელს.

დღეს, როდესაც შესაძლებლობა გვეძლევა, მონაწილეობა მივიღოთ მსოფლიოს საერთაშორისო საენათმეცნიერო სიმპოზიუმისა და კონფერენციების, გული სიამაყით გვევსება, როდესაც ისინი კი, რომლებიც არ იზიარებენ თ. გამყრელიძის თეორიას, ალტაცებით ლაპარაკობენ ჩვენს მასწავლებლებზე და ერთხმად მოიხსენიებენ მხოლოდ ერთი ეპითეტით – The Great!

ჩვენ, ბატონი თამაზის მოწაფეები, გედინებთ ვართ, რომ გვყავს ასეთი მასწავლებელი, ცოცხალი კლასიკოსი თამაზ გამყრელიძე – The Great!

რუსუდან ასათიანი, მარინე ივანიშვილი, ივანე ლეჟავა, ეთარ სოსელია.

03ანე პაპანიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, კიბერნეტიკისა და გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტზე, სტრუქტურული და გამოყენებითი ლინგვისტიკის განყოფილებისთვის ბატონი თამაზის ხელმძღვანელობით შემუშავდა ურთულესი პროგრამა.

უმაღლესი დონის პროფესიონალები, გამოჩენილი ქართველი მეცნიერები გვასწავლიდნენ: სიმრავლეთა თეორიას, ინფორმატიკას, მათემატიკურ ლოგიკას, უმაღლეს ალგებრას, ალბათობის თეორიას, ტოპოლოგიას, ძველ და ახალ ქართულ ენებს, ინდოევროპულ ენათა მედიანობის თეორიას და სანსკრიტს, ქართულ და კავკასიურ ენებს, ექსპერიმენტულ და ზოგად ფონეტიკას, ძველ მენძულს, ლათინურს, აქადურს, არაბულ ენას, თანამედროვე ევროპულ ენებს, ენათმეცნიერების უახლეს თეორიებს... მოკლედ, მეგზი რომ არ გაგვგრძელოთ, ეს ჩამონთვალავს საკუთარს იმის შესაფასებლად, თუ როგორი განათლება მივიღეთ, მართლაც რომ თანამედროვე სტანდარტების დონის შესაბამისად.

საამაყო, ამასთან უაღრესად საპასუხისმგებლოა, იყო თამაზ გამყრელიძის მოწაფე. მან თავისი შემოქმედებით, საქმისადმი დამოკიდებულებით მოწაფეებს დაგვიჩვენა პროფესიონა-



საიუბილეო მილოცვა

უღამოდ მცირეა იმ ქართველ ენათმეცნიერთა რიცხვი, რომლებიც კოლეგებისა თუ მეგობრების მხრიდან საკუთარ სამშობლოსა და მთელ მსოფლიოში, თამაზ გამყრელიძის მსგავსად, ეგზომ დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ. მისი 90-ე საიუბილეო დაბადების დღე კი ნამდვილად მედნიერო საბაზა მისი ამგვარი პატივისცემის მიზეზსა და მის სამეცნიერო მოღვაწეობაზე დასაფიქრებლად.

მისი აღიარება და დაფასება არაერთი აკადემიისა და უნივერსიტეტის მხრიდან მრავალრიცხოვანია, მისი საქმიანობა აკადემიური ცხოვრების სხვადასხვა ფუნქციებით კი სათვრად მრავალფეროვანია და, ქართველები, რომლებიც მოგონებების ნამდვილი დიდოსტატები არიან, ამ დღეებში უთუოდ ჯეროვანად გაიხსენებენ და შეაფასებენ მის სამეცნიერო დამსახურებებს, საზოგადო ცხოვრებას და პოლიტიკურ მოღვაწეობასაც, რომელიც აკადემიური წრეების წარმომადგენელთათვის უფრო უჩვეულო რამ გახლავთ.

ჩემი თვალსაზრისით, ენათმეცნიერები საკუთარ სამშობლოს დიდ დახმარებას უწყვენ იმით, რომ ისინი ადგილობრივი, მკვიდრი ენებისა და ისტორიის ახალ ხედვას აძლევენ მას, მითუფრო მამინ, თუ ისინი ამავდროულად თავიანთი ნაშრომების მაღალი სამეცნიერო ხარისხის დამსახურებით საერთაშორისო ენათმეცნიერთა საზოგადოების ყურადღებას იპყრობენ ამ ენების სპეციფიკური და უნიკალური თვისებების გამო; ეს ყურადღება კი განსაკუთრებით ისეთი ქვეყნისთვისაა მნიშვნელოვანი, რომელიც ჩაკეტილი ქვეყნის ერთგვარ გარე პოლიტიკისა წარმოადგენდა, სადაც პერსონალური კონტაქტები გარე სამყაროსთან გართულებული იყო. ჩინა საუკუნის 60-იან წლებში თამაზ გამყრელიძემ თავისი თაობის სხვა ქართველ ნიჭიერ ლინგ-

ვისტებთან ერთად თავისი დროის ნაყოფიერი სტრუქტურული და ტიპოლოგიური თეორია გაიზიარა, რომელსაც იგი მამინ რელიგვიანტური კვლევის საოცარი, საპური ცოდნით პრაქტიკურებდა. თამაზ გამყრელიძემ თავის ნაშრომებში წარმოგვიდგინა ქართველური და ინდოევროპული ენების ისტორიული და ტიპოლოგიური კვლევის ერთგვარი სინთეზი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ქართველოლოგია საქართველოს ფარგლებს მიღმაც აღეჭრათ და ელიარემინათ თვითმყოფ დისციპლინად და იგი შედარებით-ისტორიული ენათმეცნიერების სხვა ძველი დისციპლინების თანაზომად დისციპლინად მიეღოთ. თავად მე 1974 წელს გახლდით იუბილარის მოხსენებების ციკლის მსმენელი ქართული ანბანის ტიპოლოგიური თავისებურების შესახებ, რომელიც მოგვიანებით მნიშვნელოვან წიგნად იქცა. მე ვიგრძენი, რომ ეს თემა თამაზ გამყრელიძისთვის არა მხოლოდ ისტორიული თვალსაზრისით იყო სინტერესო, არამედ მან ამ საკითხში ქართული იდენტობის მნიშვნელოვანი ემბლემა შეიქცო და დაინახა. მამინაც და შემდგომაც ისევ და ისევ აღმაფრთოვანებდა ენათმეცნიერული კვლევის ახალი ასპექტებისადმი მისი მუდმივი და ცოცხალი ინტერესი.

თამაზ გამყრელიძეს მისი ამ დამსახურებებისათვის ქართველები, ქართველოლოგები და თავად მეც ძალიან ვემადლიერებოთ და მისი დაბადების დღისათვის მე მას ვუსურვებ, რომ მრავალი წელი ჯანმრთელად იყოს და კვლავაც ეფიქროს იმ საკითხებზე, რომლებიც მისთვის და ჩვენთვის ასერიგად მნიშვნელოვანია და რომ მისი სიტყვა შესმენილ იყოს.

ვინფრიდ ბოლდერი, ოლენბურგის უნივერსიტეტი, გერმანია

მადლობას გიძღვნი!

დაბადების 90 წელთან დაკავშირებით გვინდა, დიდი სითბოთი მივსალმობთ ჩვენს პატივცემულ კოლეგას, აკადემიკოს თამაზ გამყრელიძეს და მივულოცოთ ყველა წარმატება ცხოვრებაში თუ სამეცნიერო მოღვაწეობაში.

პატივცემულო თამაზ, ჩვენ ალტაცემული ვართ თქვენი დიდი ღვაწლით ისტორიულ ენათმეცნიერებაში, ასევე გაფასვით თქვენ როგორც აკადემიის პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტის ყოფილ წევრსა და საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარეს საქართველოს დამოუკიდებლობის მღელვარე პერიოდში.

თქვენი რეკონსტრუქციები ქართველური ენების მორფოლოგიისა და სინტაქსის შესახებ და ენების ისტორიის მთელი შემდგომი კვლევების საფუძველია და, ამავე დროს, სტრუქტურულ-ტიპოლოგიური რეკონსტრუქციის ერთგვარ მოდელად იქცა.

თქვენმა უკანასკნელმა მონუმენტურმა კვლევამ საერთაშორისო დონის, ვ. ივანოვთან ერთად, ფუნდამენტურად გადასინჯა პროტონის ფონოლოგიური სისტემა და წარმოადგინა რადიკალურად განსხვავებული ჰიპოთეზა ინდოევროპელთა წინაურ სამშობლოს შესახებ;

ინდოევროპელთა ისტორიის მთელი შემდგომი კვლევა უნდა ითვალისწინებდნენ ამ უმნიშვნელოვანესი შრომის შედეგებს.

თქვენ ასევე დაამუშავეთ და დანერგეთ კვლევის ახალი მეთოდები ენობრივი რეკონსტრუქციის, ტიპოლოგიისა და კულტურის ლინგვისტური პალიონტოლოგიის სფეროში; თქვენ ხართ თანადამოუწმებელი გლოტალური თეორიისა.

თქვენ ბრძანდებოდით კარგი მეგობარი, მოძღვარი, მხარდამჭერი კოლეგებისათვის როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ და, ასევე, სულისჩამდგმელი ახალი კვლევებისა ლინგვისტიკისა და ფილოლოგიაში.

ჩვენ მადლობას გიძღვნი და ალტაცემას გამოვხატავთ თქვენ მიმართ მთელი ამ ღვაწლის გამო, ვისურვებთ მრავალ წარმატებულ წელს მეგობრებისა და მოსიყვარულე ოჯახის გარემოცვაში.

განსაკუთრებული კეთილი სურვილებით,

ბარბარა პარტი და ვლადიმერ ბორშევი, ამერიკის შეერთებული შტატები

არასოდეს გარკილებია რევოლუციური სვლილებების „ღვარცხოფს“

ყურადღებას მივაქცევთ აკად. თამაზ გამყრელიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ მნიშვნელოვან ასპექტს.

ბატონი თამაზი სიჭაბუკის ასაკში ეზიარა მაღალ სამეცნიერო სახელსა და დიდებას. 30-35 წლისა იგი უკვე საყოველთაოდ აღიარებული ლინგვისტია; მალე მან ფართოდ გაუთქვა სახელი თანამედროვე ქართულ მეცნიერებას. 38 წლისა აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრად. წინ იყო მასშტაბური გეგმები და პერსპექტივები...

თავისუფალი და დაღვინილი ქვეყნის შვილს თამაზად შეეძლო ეთქვა, სულხან-საბას უკუპერიფრაზი რომ გამოვიყენოთ, „სოფლისა საქმეთათვის უსალო იყო“.

მაგრამ მეცნიერი თამაზ გამყრელიძე წუთითაც არ გარიდებია ეროვნულ, სამოქალაქო პასუხისმგებლობას. სამჭოურ სისტემაში იგი გახლდათ უზენაესი სამჭოს დეპუტატი, ხოლო დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში – ეროვნული პარლამენტის წევრი, საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე. იგი ერთ-ერთი ხელმძღვანელია საქართველოს დამოუკიდებლობის აქტისა. არაგის დააიწყებდა, როგორი გულისცემით შეჰყურებდა მთელი ქვეყანა ტელევიზორს, როდესაც იგი პირისპირ ამხელდა სამჭოთა სისხლიან რეჟიმს 1989 წლის 9 აპრილთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, იგი ყველგან იყო, სადაც ქვეყანას სჭირდებოდა; თავისი მოღვაწეობით განამტკიცებდა მეცნიერებათა აკადემიისა და დედაუნივერსიტეტს; იგი ყოველთვის გვერდში ედგა საქართველოს ეკლესიასა და კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს...

უნდა ითქვას, რომ ბატონი თამაზი ერთ-ერთი მითაბანი იყო, ვინც დროულად და სრული პიროვნელობით შეაფასა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემაში წამოწყებული ვოლუნტარისტული რეფორმები. მისი პუბლიკაციები 2005 წელს: „ივანე ჯავახიშვილის შესახებ სიკვდილი“, „SOS: ინგრევა საქართველოს მეცნიერებათა აკადემია და ქართული მეცნიერება“ და სხვ. ისტორიას დარჩება როგორც დონისეული ბეჭედი ჭეშმარიტი მეცნიერების მართალი და მოუსყიველი პოზიციისა... მისი შეფასება უმძიმეს შედეგებს გვიჩინებს წარმეტყველებდა: „სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემიდან კვლევითი ინსტიტუტების გაურკვეველი მიმართულებით გატანა დაღუპავს არა მარტო ამ ინსტიტუტებს, არამედ მთელ ქართულ მეცნიერებათა აკადემიას და ქართულ მეცნიერებათა საზოგადოებას, რომ არაფერი ეთქვამთ ამ ინსტიტუტების შემცირებაში მოხვედრილ მრავალრიცხოვან თანამშრომლებზე!“

მაგრამ „არა იყო სმენა, არცა გაგონება“... ბატონი თამაზი არც ამ პირობებში გარიდებია რეველუციური ცვლილებების „ღვარცხოფს“ და ყველა შესაძლებლობას იყენებდა, გადაერჩინა ფასეული მემკვიდრეობა. იგი დღესაც აქტიურად ფიქრობს და იღვწის ჩვენი მეცნიერების, ქართველოლოგიის მომავლისათვის და იქნებ ჯერაც არ არის დაგვიანებული, გავითვალისწინოთ ამ დიდი ავტორიტეტის გაფრთხილებები და მოვისმინოთ მისი ამუშაინდელი სათქმელი!..

ავთანდილ არაბული

რუსეთს

დედოლაროზაზიამ 8 მილიარდი დოლარი დააკარგვინა!

საქართველოში კი დედოლარიზაცია პროვნილი ბანკის ბრძოლაში პოლიტიკაა



რუსეთის ცენტრალური ბანკის გადაწყვეტილებამ, სავალუტო რეზერვების ნაწილი სხვა ვალუტებში გადაეტანათ, რუსეთის ეკონომიკას 8 მილიარდი დოლარი დააკარგვინა. ინფორმაციას ამის შესახებ Bloomberg ავრცელებს.

საუბარია ვლადიმერ პუტინის მიერ ინიცირებულ ექსპერიმენტზე, რომელიც სავალუტო რეზერვებში დოლარის წილის შემცირებას გულისხმობდა. ამ გადაწყვეტილების გამო რუსეთმა ვერ მიიღო სარგებელი, რომელსაც დოლარის 6.5%-იან გამყარებას მოუტანდა.

სავალუტო რეზერვების მანამდე არსებული სტრუქტურით, რეზერვის სახით არსებული 531 მილიარდი დოლარი 3.8%-ით გაიზარდებოდა. Goldman&Sach-ის მონაცემებით, დედოლარიზაციის გადაწყვეტილება რუსეთში ამერიკული სანქციების გავლენის შესამცირებლად მიიღეს. დოლარზე ნაწილობრივ უარის თქმის შემდეგ, რუსეთმა პრიორიტეტად ჩინური იუანი დაისახა.

ამ დროისთვის რუსეთი იუანის მსოფლიოს რეზერვების 70%-ს ფლობს. დედოლარიზაციით გამოწვეულ დანაკარგებს ნაწილობრივ ოქროს მზარდი მარაგები აკომპენსირებს. 2018 წელს რუსეთის ოქროს საცავების ღირებულება 40%-ით 100 მილიარდ დოლარამდე გაიზარდა.

ამის პარალელურად, საქართველოში დედოლარიზაცია ეროვნული ბანკის გრძელვადიანი პოლიტიკაა. „უმჯობესია, დედოლარიზაცია სწრაფად მიდიოდეს ფიზიკური პირებისთვის და მცირე სესხების შემთხვევაში, ვიდრე მაღალ კორპორატიული სესხებში,“ – განაცხადა საქართველოს ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტმა არჩილ მესტირიშვილმა, „რადიო კომერსანტზე“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან

ერთად“. მან საქართველოში არსებულ მონეტარულ პოლიტიკასა და საბანკო რეგულაციებზე ისაუბრა.

„მაღალი დოლარიზაცია არა მარტო მოსახლეობას, არამედ ფინანსურ სექტორსაც უქმნის პრობლემებს. ბოლო პერიოდში ქვეყნის საკრედიტო რეიტინგი გაუმჯობესდა, ერთ-ერთ ნეგატიურ მხარესა და რისკებში ყოველთვის სახელდება მაღალი დოლარიზაცია. თუმცა, მთავარი აქცენტი ჩვენთვის ფიზიკურ პირებზე კეთდება. უმჯობესია, დედოლარიზაცია სწრაფად მიდიოდეს ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც მცირე სესხებს იღებენ, ვიდრე მაღალ კორპორატიულ სესხებში.

რეგულაციები რამდენიმე ეტაპად განხორციელდა, მთლიანობაში რომ შევხედოთ, არასაბანკო სესხებზე მკვეთრად შემცირდა საპროცენტო განაკვეთები, ეს არ ეხება მხოლოდ მიკროსაფინანსოებს. იყვნენ გამსესხებლები, რომელთა საშუალო საპროცენტო განაკვეთი 200-300% იყო და ახლა ეს რიცხვი ჩამოსულია 20-30%-ზე. ეს კვლავ მაღალია, მაგრამ წარსულში არსებულთან შედარებით გაცილებით მცირე. პროცენტი შემცირებულია იპოთეკურ სესხებზეც. სამომხმარებლო სესხები კვლავ მცირდება და 0-თან ახლოს არის. რაც შეეხება მთლიან დაკრედიტებას, სესხების გაცემის ზრდა დაახლოებით 21%-ია, თუ კურსის ეფექტს გამოვიტყვავთ საკმაოდ კარგი მაჩვენებელია ჩვენს დინამიკისთვის. ასევე იზრდება ბიზნესში დაკრედიტება და იპოთეკური სესხების ზრდა, მათ შორის ლარით იპოთეკური სესხების დაკრედიტების 100%-იანი ზრდა აქვს. ჯამურად პოზიტიური დინამიკა, რომელიც მომავალში კიდევ უფრო ჯანსაღ ფინანსურ გარემოს მოგვცემს,“ – ამბობს არჩილ მესტირიშვილი.

ნათია კვიციანი

რუსეთი, ირანი და ჩინეთი აშშ-ის მოკავალ პრეზენტში ჩაკვანს სტილოვან



FACEBOOK-ის დამაარსებელმა მარკ ცუკერბერგმა NBC-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ რუსეთი, ირანი და ჩინეთი აშშ-ის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ჩარევას ცდილობენ.

„ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი სულ უფრო განაფულ ტაქტიკებს იყენებენ არჩევნებში ჩარევისთვის. ჩვენს მიერ აღმოჩენილი ექაუნთების ქსელი იმაზე მეტყველებს, რომ ამ ქვეყნებს მომავალი არჩევნების დროს აქტიურობა აქვთ განზრახული“ – განაცხადა ცუკერბერგმა.

მანამდე სოციალურ ქსელში განაცხადეს, რომ ირანიდან და რუსეთიდან ყალბი ანგარიშები წაიშალა. რუსული წარმოშობის ექაუნთები Instagram-ზე 50, ხოლო Facebook-ზე 1 ყალბ გვერდს მოიცავდა. ამ გვერდებზე განთავსებული იყო ინფორმაციები კონსერვატიზმზე, ლიბერალიზმზე, ეკოლოგიაზე, აშშ-ის 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, რასობრივ და ლგბტ თემის პრობლემებზე.

Facebook-ის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ ეს გვერდები „ინტერნეტ-კვლევების სააგენტოსთან“ არის დაკავშირებული, რომელსაც „ტროლების ფაბრიკას“ უწოდებენ.

2016 წლის დეკემბერში, აშშ-ის სპეცსამსახურებმა მოახდინეს სპეციალური ანგარიში ამერიკულ არჩევნებში რუსეთის ჩარევის შესახებ. რის შემდეგაც, კონგრესის სამმა კომიტეტმა და სპეციალურმა პროკურორმა, FBI-ის ყოფილმა დირექტორმა რობერტ მიულერმა საქმის გამოძიება დაიწყეს. ამ საქმეში ტრამპის წინასაარჩევნო შტაბის ყოფილი უფროსი პოლ მანაფორტი და ტრამპის ყოფილი მრჩეველი მაიკლ ფლინი ფიგურირებენ.

ამერიკა თურქეთს მეუჭრება, თურქეთი კი...

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა, რომ დონალდ ტრამპი თურქეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედებებისთვის მზად არის, თუმცა ვაშინგტონს ომს მშვიდობა ურჩევნია.

„თუ საომარი მოქმედებების საჭიროება გახდება, უნდა იცოდეთ, რომ პრეზიდენტი ტრამპი სრულიად მზად არის ასეთი ქმედებებისთვის“, – განაცხადა

პომპეომ ტელეარხ CNBC-სთან ინტერვიუში. ვაშინგტონი და ანკარა 17 ოქტომბერს შეთანხმდნენ 120 საათით ოპერაციის შეჩერებაზე და თურქეთ-სირიის საზღვარზე, ბუფერული ზონიდან 30 კმ-ში ქურთული ფორმირებების გაყვანაზე.

თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ თაიფ ერდოღანის თქმით, იმ შემთხვევაში თუ ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების ვადის ამოწურვის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატები პირობას არ შეასრულებს, ანკარა სირიის ჩრდილოეთ რეგიონში სამხედრო ოპერაციას განაახლებს. ამის შესახებ რეჯეფ თაიფ ერდოღანმა სოჭში გამგზავრებამდე განაცხადა. თურქეთის პრეზიდენტის განცხადებით, ქურთების სახალხო თავდაცვითი რაზმის ყველა წარმომადგენელმა ენ უსაფრთხოების ზონა უნდა დატოვოს.



თურქეთს სირიის ტერიტორიისა და ბუნებრივი სიმდიდრის მიტანება სურს

ამის შესახებ სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ასადმა იდლიბის პროვინციაში სირიელი სამხედროების მონახულებისას განაცხადა. მის განცხადებას სააგენტო „სანა“ ავრცელებს.

„თურქეთის პრეზიდენტმა მოპარა სირიის მისი ნავთობი და ხორბალი, გაიტანა საწარმოები ალექსოვან, ახლა კი, ერდოღანს სურს სირიის მიწის ნაწილის მიტაცება მისი ბუნებრივი სიმდიდრებით“, – განაცხადა ასადმა.

ამასთან, ბაშარ ასადმა აღნიშნა, რომ იდლიბისთვის ბრძოლა სირიის მთელ ტერიტორიაზე ქაოსის დასრულების საფუძველია.

იაპონიის იმპერატორი ნარუჰიტო ტახტზე ოფიციალურად ავიდა

იაპონიის ახალი იმპერატორი ნარუჰიტო 2000 სტუმრის თანდასწრებით ტახტზე ოფიციალურად

რად ავიდა. ინტრონიზაციის ცერემონია ტოკიოში გაიმართა.

„ვფიცავ, რომ ხალხის ბედნიერების და მთელ მსოფლიოში მშვიდობის სახელით, ხალხთან ერთად და კონსტიტუციის თანახმად, ვემსახურები იაპონიას“, – განაცხადა იმპერატორმა ცერემონიაზე.

იაპონიის იმპერატორის ტახტზე ასვლის ცერემონიას სხვა სტუმრებთან ერთად საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილიც ესწრებოდა.


იაპონიის იმპერატორი აკიჰიტო 30 აპრილს გადადგა. ასეთი რამ ქვეყნის ისტორიაში 200 წელიწადზე მეტია, არ მომხდარა.

ითხოვენ დაკავებულ მომიტინგეებს ბათაისუფლებას

აზერბაიჯანის ხელისუფლებას მოვუწოდებთ, დაუყოვნებლივ გაათავისუფლოს აქციის დროს დაკავებული მომიტინგეები, – ამის შესახებ Human Rights Watch-ის ევროპისა და ცენტრალური აზიის ოფისის დირექტორმა გიორგი გოგიამ განაცხადა.

როგორც ორგანიზაციაში აცხადებენ, დარბევის დროს აქციის მონაწილეებს, მათ შორის ოპოზიციური პარტიის ლიდერს, ფიზიკურად გაუსწორდნენ. აქტივისტები ამბობენ, რომ პოლიციამ მათ სასტიკად სცემა.

აზერბაიჯანის დედაქალაქში საპროტესტო აქციის 60 მონაწილე 19 ოქტომბერს დააკავეს. 42 მათგანი მალევე გაათავისუფლეს, დანარჩენების საქმეებს კი სასამართლო განიხილავს. ხელისუფლების თქმით, მიტინგის ჩატარების ნებართვა ერთ-ერთ სტადიონზე გასცა, თუმცა, ოპოზიციამ აქციის ჩატარება ქალაქის ცენტრში გადაწყვიტა. 200-მდე ადამიანმა ქალაქის მთავარ ქუჩაზე შექარა სცადა, პოლიციამ მომიტინგეები სწორედ მაშინ დააკავა.



წარდა ერთი ამოსუნთქვით, ალბათ, თვეობით ნაფიქრალს... ბევრს შეშურდებოდა, რა თქმა უნდა, დიდ პოეტებს ვგულისხმობ, შემდეგ გულისძირში ინახავდა, ათასჯერ გადაასახაქართულედა, ელოლიავებოდა... აკი, თავად ამბობდა კიდევ „მინაზე ვწერ და ცაში ვათეთრებ, მაგრამ... სულ თოვლად მაცრის უფალი. რა ნაგაივითხოთ: ძმებს და ქალღმერთებს, ვით შემოგაკადროთ ეს ნასუფრალი...“ ეს ნასუფრალი კი საოცრება იყო, მუხურით ვით ამაყი, ხობწყარვით მქუხარე, თავის ოდაბადესავით თბილი, ძველ-კოლხურ სიტყვათა ნაზავი, შენი, ყველასთვის გასაგები, თითქოს იოლი, ლამაზი, ქალწულის პირველი გამოხედვასავით მოთრთილავ, მაგრამ საკმაოდ დიდი ფილოსოფიის მატარებელი. რატომ? ლაშასეული იყო და ეს რომ შეგექმნა, ლაშა გახარია უნდა ყოფილიყავი, მისი ცხოვრებით უნდა გეცხოვრა, მისი ტკივილით უნდა გეველო, მასავით უნდა გეყვარებოდა, მასავით უნდა გეხობნყარა და გემუხურა, მასავით რადით უნდა მიახლებოდი დედაუნევერ-სიტეტს „ვალი ვერც ლექსით გადაამხნია – საბას „ძღვენს“ ურცხვად გადავემალე.. ხომ არ დაგდაღე, ჩემო ბიბლიავ, ჩემი საფლავის ქვამდე მევაღე“... და ვინ გადაუხადა ვალი ისე, როგორც ლაშა გახარიათ თავის თეთრ ტაძარსა და თავის ბიბლიას. ბადიმის დალოცვაც ისეთი უნდა გცოდნოდა, მთელი ცხოვრება რომ გაჰყვება საბა გახარიათ **საბაქართულით** გზადლოცვილი. ალბათ, იმიტრომაც ინახავდა სათუთად ლექსებს, რომ შემდეგ ერთხმად ეფეთქათ, ეგრე ვინათ, ვულკანივით ამოეხეთქათ, ლილეოსავით შეჯახებოდნენ კავკასიონს, დაემუნჯებინე, გაოგნებინე და შემდეგ, დამშვიდებულს იმ მადლითა და სითბოთი გეველო, თუნდაც ერთი დღე, როგორი ძალაც აქვს მის პოეზიას.

პირველ წიგნს მოესწრო, ძალისძალათი მეგობრების მიერ ხელიდან გამოგლეჯილი ლექსებითა და შეგულიანებით შეკონინებულს... მანამდე დედაუნევერსიტეტს ეახლა, თითქოს მისი მადლი გაიხსენა და ვალიც გადაუხადა. პირთამდე სავსე დარბაზს თავისი ტკბილი, კოლხურნარევი, თავანკარა ქართული ლექსებს უკითხავდა. სწორედ მაშინ შეჰკადრა სიყრმის მეგობარმა ვალერი ასათიანმა, კრებული უნდა გამოეცეთო. „**მუზის პაუზას**“ მისსავე პოეტმა დაიკომ ლია ნაროუშვილმა ურედაქტორა და ასე ძალისძალათი გამოეცემულ, უკვე თბილიორგანიზაციული იშვიათობად ქცეულ წიგნზე მთრთოლვარე ხელით წარწერალა შექლო – „**წიგნი გამოდის ავტორის უნივერსიტეტელი მეგობრების თანადგომით**“.

სიმბოლურია, რომ პოეზიის შედეგრთა ეს კრებული პაატა ნაცვლიშვილის გამოცემლობამ 16 წლის წინ გამოსცა. სიმბოლურია, რადგან სწორედ პაატასთან და ჩემს მეგობრებთან ერთად მივედივარ ლაშაობაზე მუხურში. იმასაც მოასწრებს ლაშა, თავის მშობლიურ მუხურს ჩააბარებს შემოქმედებით ანგარიშს, ყველაზე მკაცრ მსაჯულებს, სწორედ იმ ხალხს, რომლებსაც „**არც გასაყოფი არაა აქეთ და არცა რას ყოფენ. ლექსსაც ბეჭადვენ – ბეჭილიას სადარს და სწორფერს. ოჯალეშს სვამენ და ჰყვებიან დევისწერთა ზღაპრებს. კვამლის და რახის სუნი ასდის ერთმუჭა სოფელს**“. ჩააბარებს, მოეფერება და... გა-


წერიდება სანუთროს. „**დღეს ჩემი ბოლო პანაშვიდია... სველი სურათი მშვიდად ჰკივია. ნანა, ჩონგური უკვე მოდიან, უკვე ბნელდება, უკვე შვიდია...**“

მეთხუთმეტად აღნიშნავს ლაშაობას მუხური, მეთხუთმეტედ გვხვდება მუხურზე ხელმოწერილი და გზას გამხედვარი მუხურელები, მეთხუთმეტედ გვმასპინძლობს ის საჯარო სკოლა, რომელიც ლაშამ დაამთავრა და რომელიც ახლა მის სახელს ატარებს. გველოდება საუკუნეგადაცილებული ოდა, სადაც დიდი პოეტის ბობოქარი სული დევანებულა. ჭიშკართან გველიან ელგუჯა და დარეჯან გახარები, პოეტის დაძმა, მათთვის ოქტომბრის ეს მზიანი დღე ძმის გაცოცხლების ტოლფასია, ჩვენი ლაშას მუხა, უერთგულესი მეუღლე, მომღიმარი როზა ბერიკაშვილი, რომ-



ვი პოეტები ლია ნაროუშვილი და ლაშა გვასალიაც გვიერთდებიან... მართლაც პოეზიის ზემოია.

„...მთვარე - პოეტის მაუკელი რბოლი!“



„**ოღონდაც, ერთხელ მეც მათქმეინე, რომ აქ ვწერ, მაგრამ... ცაში ვკითხულობ!**“
ლაშა გახარია

რონყუობას დაემთხვა, ზემომბს ულა-მაზესი კუთხე თავისი სასახლო შვილი-სა და თავიანთი საყვარელი ქალაქის დღეობას. მიუხედავად დატვირთული დღისა, ქალაქისა და რაიონის ხელმძღვანელები მაინც ახერხებენ მუხურში მოსვლას, ლაშას კარ-მიდამოს დალოცვას, მისი სახელის მოფერებას. სწორედ ახალგაზრდა გამგებლის დავით გოგუას დიდი დამსახურებაა ამ დღესასწაულის მართლაც სახალხო ზემოდ გადაქცევა, ლაშას სახლ-მუხურში მოწვევა, პოეტის სახელის უკვდავყოფა. დაილოცებინ და შემდეგ ყველას ჩხორონყუობაზე გვეპატიუებია.

მე და როზა ბერიკაშვილი ელგუჯა გახარიათ მშვენიერი სახლის აივანზე ვეგავართ და იმ ძველ ოდა სახლს გავყურებთ, სადაც ლაშა დაიბადა და გაიზარდა. ეს სახლი ორიოდე წლის წინათ ეზოს შუაგულში, ჭიშკართან ახლოს გადმოიტანეს, „პირველად ლაშა უნდა შეხედეს სტუმრებს“, ასე იწევა ბატონმა ელგუჯამ და უპრიანიცაა. „მამუ, ამ აივანიდან ყველაზე ახლოსაა ვარსკვლავები, გგონია, ხელით შეეხები, ცას აპყურებს როზა – ეს სილამაზე პირველად ლაშამ დამანახა და როდესაც აქ ვარ, სულ ვცდილობ, მეც ხელით შევეხო“. ახლა შუადღეა, ვარსკვლავები ჯერ არ ჩანან... ვარსკვლავები კი არა, ფთილა ღრუბელიც არ არის ცაზე. მეთხუთმეტე ლაშაობაა მუხურში მზიანი დარი და ზაფხულივით დღეები რომ გვხვდება. ლაშას სახლის წინ პაატარა გოგობიჭები ლაშას ლექსების კითხვასა და ცეკვა-სიმღერაში ერთმანეთს ეჯობებინ, ზუგ-დიდიდან ჩვენი მეგობრები, შესანიშნა-

ლის წყალობითაც კიდევ მრავალი წიგნი მოჰყვება იმ პატარა „მუზის პაუზას“ – „**შემინდე, რომ ვერ გიძღვენ ამ შობას შეპირებული ციდა კრებული, გარეთ ხომ მაინც ლალობს ბავშვობა – ნათხოვარ ციგით გახარებულნი... ვიცი, რომ ოჯახს დიდი უკუჩი აქვს, ვერ დაანწარებს მწირი ჯეჯილი... და ეს ლექსიც ხომ სტამბის ქუჩყია – გულიდან ლუკმად ამოგლეჯილი**“. გვეგებებიან ლაშას ქალიშვილი, ჩვენს თვალწინ დავაჟყვაცებული შვილიშვილები საბა და სანდრო, ნაბოლარა თვლებხატულა სოფო.

თბილისიდან უთენია გავდივართ ლაშას მეგობრები – პაატა ნაცვლიშვილი, ჩვენი ორი მარინე – მარინე თექთუ-მანიძე და მარინე გიგინეიშვილი. გზად ლაშას მეგობარი პოეტი, შესანიშნავი ლექსებისა და ნოველების ავტორი ვასილ ბესელია უნდა დაგვემგზავროს ნოსირიდან. წლეულს ლაშაობა ჩხო-

ლივით, სიხარულით, სიმღერა-ცეკვითა და მადლიანი შემოდგომის ჭირ-ნახულით დატვირთული გვხვდება ჩხორონყუ. სახელდახლოდ მოწყობილი ფაცხები, ნახატების გამოფენა, ხალხური ტანსაცმელი, მზისგან ნაკეთი სუვენირები, დვინო, ხაჭაპური, მწვადი, ელარჯი, კეთილი გული და მომღიმარი კოლხები. „ქალაქი დამილოცე, ჯიმა“, „ჩემი ღვინოც გამისინჯე, ოჯახი და მოსავალი დამილოცე...“ – გვეპატიუებიან ჩხორონყუელი მეგობრები. ჩემი მუდმივი მასპინძელი გია ფირცხელავა გვერდიდან არ გვშორდება და თავის რესტორანში გვეპატიუება – სალამოს დიდი პურმარლი იქნება და იქამდე ჩემთან მოიარეთ... მაგრამ მივალენე კი?!... პაატა ნაცვლიშვილი ჩვეულებას არ ლალატობს, მსოფლიოშემოვლილ კაცს რითი გააკვირვებ, მაგრამ აღფრთოვანებას ისიც ვერ მალავს. ადგილობრივ მხატვარს ესაუბრება და მის ნამუშევრებს ათვალეირებს. ორიგინალური სტილით დამზადებულ ნატურმორტებსა და პეიზაჟებს თვალს მართლაც ვერ მოწყვეტ, ყველაფერი სხვადასხვა ფერის მინითა დამზადებული, ასეთი რამ არსად მინახავსო, გაოცებას ვერ მალავს პაატა, დროს იმისთვისაც პოულობს, მხარეთმცოდნეობის მუზეუმში უნიკალური საგანძური დაათვალიეროს, ყველა სტენდთან შეჩერდეს, ყველას გაესაუბროს... რუდიკ ლოგუას კოლხური ჯიშის ხობხებს მოეფეროს, ყველაფერი აინტერესებს – ადგილობრივია ყოფა, გაჭირვება თუ სიხარული, ხან რომელ კუთხეში მოჰკრავ თვალს და ხან რომელ ფაცხასთან. რალა დაგიმალოთ და ჩემთვისაც ბევრი რამ გასაოცარია, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს დედულეთში ვარ, თითქმის აქ ვარ გაზრდილი და სულ ხელის განვდენაზეა ჩემი მშობლიური ოდაბადე.

საპატიო ჩხორონყუელებსაც გვაცნობენ, სათითაოდ უნდა დალოცო ამ კუთხის რჩეულები, „**ლაშას სადღეგრძელო ხომ უნდა დაგვლით, ჩემო ბატონო!**“ – უკვე სახზე გვეცნობენ იქაურები. აბა, რა იქნება, თითქმის არც ერთი ლაშაობა არ გაგვიცდენია და შინაურებად გვთვლიან. ხარობს რაიონი... თავმომბონეობა კოლხებმა რომ იციან, ბევრი ვერ დაიტრაბახებს, მაგრამ თავმოსაწონებელიც ბევრი აქვთ. უცხოელებსაც ვხვდებით, აჩხაკუნებენ ფოტოაპარატებს და ამაყ მეგრელებს გაოცებული შეჰყურებენ. ყველა ეპატიუება და ევერება, უკვირთ, ფულს რომ არაფერში ახდევინებენ... ბოლოს, მეგობრის „სამფლობლოს“ მაინც მივალნიეთ, დავილოცეთ, მოვეფერეთ ერთმანეთს. სალამოს ულამაზესმა ფეიერვერკებმა ცა გაანათეს. გვიან ვბრუნდებით თბილისში. კომპია ეზოებს ანათებს მეგრული ოდებიდან გამოსული სინათლე.

...ცას ავეყურებ, ხელის განვდენაზეა ვარსკვლავები და გობის ოდენა მთვარე, გგონია, მოწყვეტ და ციციანთელასავით ხელისგულზე დაისვამ, არადა, ასე ახლოს დედამინასთან მოსული მნათობი არსად მინახავს. მთვარე ხომ ლაშასთვის „**პოეტის მამუელი რგოლი**“ იყო...

მამუკა ვაშაქიძე,
თბილისი-ჩხორონყუ-მუხური-თბილისი



სწორედ ახალგაზრდა გამგებლის დავით გოგუას დიდი დამსახურებაა ამ დღესასწაულის მართლაც სახალხო ზემოდ გადაქცევა



პაატა ნაცვლიშვილი, ლია ნაროუშვილი, ლაშა გვასალია, ვასილ ბესელია და მამუკა ვაშაქიძე ლაშაობაზე – სანდრო პოეტის მუდმივი რგოლი.

კალოსნობა



მალაყაჰის ატასი

ბუშარმისტი მიმდინარე იუნიორთა და 23-წლამდე კალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მონაგარი მერვე დღეს კიდევ ერთი მედლით გამოდრდა.

ბუენოს-აირესის ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ვერცხლის მედალოსანმა არჩილ მალაყაჰამ, რომელმაც არგენტინულ ფიცარნაზე წარმატებას 69 კილოში მიაღწია, ამჯერად

73 კგ კატეგორიაში იასპარეზა. „ჯვაროსანმა“ სანყის დისციპლინაში – ატასში 144 კილოგრამი დაძლია და ევროპის ჩემპიონატის „ბრინჯაო“ მოიპოვა. იგი ახლოს იყო საპრიზო ადგილთან ორჭიდის ჯამშიც, მაგრამ მესამე ადგილის მოსაპოვებლად 1 კგ დააკლდა. შედეგად, 311 კილოგრამით მეოთხე პოზიცია დაიკავა.

კობა კოხანიძე

ღირსეული

მას უნივერსიტეტის სპორტული დარბაზიდან ვიწრობ, სადაც ნუგზარ ჭეიშვილთან ერთად სტუდენტური გუნდის თაობები დააფრთხიან და კალათბურთის სამყაროსკენ დააკვლიან.

პროფესიონალიზმზე რომ არაფერი ვთქვათ, ნუგზარ მარკოი შვილი პიროვნული ღირსებებითაც გამორჩეულია და მასთან ურთიერთობას ყველა ესწრაფვის – დიდიც და პატარაც. თითქოს, ფიზიკური ბუმბერაზობა არ იყოს საკმარისი, ძვირფას „ბაგრატიის“ უკიდურესო გუნდის სიტბოც ამკობს. აკი, მითხრა კიდევ ერთმა მისმა შეგირდმა – საყვარელი მწვრთნელი, უპირველესად, კაცებად გვზრდისო.

ონის რაიონის სოფელ ღარის საამაყო შვილი სამაგალითო შთამომავლობითაც დააჯილდოვა უფალმა. დიას, სწორედ მის ოჯახს უნდა ვუმაღლოდეთ საქართველოს ჩემპიონატების აღიარებული სნაიპერის გიორგი მარკოიშვილისა და ეროვნული ნაკრების ერთერთი ლიდერის მანუჩარ მარკოიშვილის

რატის მთაბივით ბუმბერაზი და სუფთა



ჩოგბურთი

ფედერერის 1500-ე!

ღმობლივი ბაზელის ტურნირზე პირველ წრეში მან გერმანელ პეტერ გოიოფიკს 6:2, 6:1 სძლია. ეს 38 წლის ვარსკვლავისთვის 1500-ე მატჩი გამოდგა ATP-ის ტურნირებში.

სულ ფედერერმა, რომელიც ამჟამად მსოფლიოს მესამე ჩოგანია, 1232 გამარჯვება მოიპოვა და 268-ჯერ დამარცხდა. წლეულს მან 48 შესვენდა მოიგო და რვაჯერ ნააგო.

ამ მხრივ როგორი ATP-ის ტურნირების ლიდერია. მისი უახლოესი მდევარი ესპანელი რაფაელ ნადალია – 1163 მატჩი. მოგებების მიხედვითაც შვეიცარიელი ლიდერობს, ხოლო მეორე აქაც ნადალია.

ბაჰან დოლიძე



ჩვენი კაცი უზაქითი

საქმეზარის უოთასია!

შოთა არველაძე კიდევ ერთხელ აღიარეს – ინფორმაცია ქართველი მწვრთნელის ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა და მას თვით მისივე მოკლე კომენტარი ახლდა.

„კიდევ ერთი თვე, კიდევ ერთი ჯილდო. თვის მენეჯერი – სექტემბერი“ – წერს შოთა.

არველაძის გუნდმა ტაშკენტის „პასტაკორმა“ უზბეკეთის სუპერლიგის დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე ქვეყნის ჩემპიონის ტიტული ოფიციალურად გაიფორმა, საქართველოს ელჩმა უზბეკეთში ზურაბ აბდუშელიშვილმა კი შოთა და მისი ტყუპისცალი – არჩილი, რომელიც ტაშკენტის გუნდის სპორტული დირექტორია, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების განმტკიცებაში შეტანილი წვლილისთვის სამახსოვრო საჩუქრებით დააჯილდოვა.

არველაძე „პასტაკორს“ 2017 წლიდან ავარჯიშებს და ის ზედიზედ ორჯერ დაასახელეს საუკეთესო უცხოელ მწვრთნელად, მიმდინარე სეზონში კი თვის მწვრთნელი მეოთხედ გახდა. ქართველის ხელმძღვანელობით „პასტაკორმა“ მშვენიერი სეზონი ჩაატარა და ჩემპიონის ტიტული ოთხწლიანი პაუზის შემდეგ დაიბრუნა.

გიორგი შოთაძე



ნიჭის ელვარებას. ვიმედოვნებთ, სახელოვანი დინასტია მომავალშიც ომბინან სიტყვებს იტყვის.

ამ დღეებში თსუ-ს რექტორმა გიორგი შერვაშიძემ ღვანლმოსილ სპეციალისტს ქვეყნის მთავარი უმაღლესი სასწავლებლის წინაშე დამსახურებისთვის „ალმა მატერის“ საიუბილეო მედალი გადასცა, რომლის მფლობელნიც, ძირითადად, წამყვანი მეცნიერ-მუშაკები, ლექტორები და პროფესორ-მასწავლებლები ხდებიან.

ანონსის სახით დავძენთ, რომ ახლო მომავალში, პროცედურული საკითხების გავლის შემდეგ, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო კალათბურთის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ბატონ ნუგზარს სახელმწიფო ჯილდოს – საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის ორდენსაც მიანიჭებს.

რომ იტყვიან, ალალია! ვიტალი ჯაფარიძე


ინტერნეტიდან

საქვოდ დადუგდა

შხვართი და დაშოშინი ბრაზილიელი მოდელი იზაბელ გალარტი ბოლო სამი წლის მანძილზე იძახდა, ჩემი თანამემამულე ნეიმარი გაბახებას მიპირებდა, საამისოდ გემებსაც ანუობდა, მაგრამ ჩემი გამჭრიახობით მოვასერებ და მის ვენებიან სარეცელში შეკოტრიალებას გადავურჩიო.

ერთ-ერთ ინტერვიუში იზაბელმა ისიც კი თქვა, ნეიმარი მემუქრებოდა, ჩემთან თუ არ წამოიდრანგები, ამას გიზამ და იმას გიზამო. მექალთანეობით სახელგატეხილი მოპურთალი კი იძახდა, ეგეთი არაფერი გამიკეთებია და გამანებთ თავი, თქვე ოხრებო, მაგრამ, აბა, ვინ რას დაუჯერებდა?!...

ახლა კი ამ ჩვენმა თვალისმომჭრელმა გალარტის ქალმა პირზე დიდი ბოქლომი დაიდო და ცო-



ცხალი თვით აღარაფერს ამბობს ნეიმარის ავხორც სურვილებზე. უფრო მეტიც – ჟურნალისტებს თხოვა, ამ თემაზე სპეკულაციები დაესრულებინათ. ნეტავ, რატომ? ვითომ იზაბელიც დალაღა ერთიდაიგივე ამბის ტრიალმა? იქნებ ნეიმარმა მოინდომა და... ვინ იცის... მანუჩარ გიორგაძე

NATIONAL GEOGRAPHIC: საქართველოს მსგავსი ადგილი დადამინაზე არ არსებობს!

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მარკეტინგული კამპანიის ფარგლებში National Geographic საქართველოს შესახებ მე-4 სტატიას აქვეყნებს. „საქართველოს მსგავსი ადგილი დადამინაზე არ არსებობს“ – ამ სიტყვებით იწყება რიგითი მე-4 სტატია „Off the beaten track in Georgia“ საქართველოს შესახებ.

ტურიზმის ადმინისტრაციის ინფორმაციით, ავტორი აარონ ჰუი საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ტურისტულ პოტენციალს აღწერს. ურნალისტი თქმით, საქართველოში მოგზაურობა დაუვიწყარ შთაბეჭდილებებს ტოვებს, ეს არის ქვეყანა მდიდარი კულტურით და მრავალფეროვანი ბუნებით. აარონ ჰუი სტატიას სვანეთში მიღებული შთაბეჭდილებების გაზიარებით იწყებს. ურნალისტი სვანეთის უძველეს სოფლებს, შუასაუკუნოვან კოშკებს,

ველურ ბუნებასა და სვანურ სამზარეულოს აღწერს.

სვანეთის შემდეგ კი National Geographic-ის ურნალისტი მკითხველს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის შესახებ მოუთხოვს. „კავკასიონის მწვერვალებიდან შეგიძლიათ მარტივად კანიონი იპოვოთ, აქ ნავით მწვანე ფერებზე ჩამოედინება. სტატიის National Geographic-ის ურნალისტი საქართველოს გურიასაც აღწერს. ურნალისტი მკითხველს ჩოხათურსა და ბახმაროში მიღებულ შთაბეჭდილებებს უზიარებს. National Geographic-ის სტატიის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქართულ ღვინოს, ქვევრს, მათასწლოვან ისტორიას, მოგზაურობის წესებს.

სტატიის ბოლოს აარონ ჰუი საქართველოს დედაქალაქს აღწერს. ურნალისტი თქმით, თბილისი ყოველთვის იყო კულტურის ცენტრი, ეს ქალაქი გამორჩეულია რელიგიების, ეთნიკური ჯგუფების სიმრავლით. ურნალისტი აღწერს თბილისის ძველ უბნებს, არქიტექტურასა და ქალაქის ღამის ცხოვრებას. სტატიის ბოლოს კი მკითხველს ურჩევს: „როდესაც საქართველოში ჩახვალთ, თავგადასავლებს ელოდეთ, არ იჩქაროთ, აქ მოხვდებით ფესტივალებზე, დაგემოვნებთ ქართულ კერძებს. იყავით მზად, რომ შეიძლება, ადგილობრივებმა სიმღერა გასწავლონ. როგორც მორცხვიც არ უნდა იყოთ, მაინც იცეკვეთ, თუ უკან მოიხედავთ, დაინახავთ, რომ ცხოვრებაში მსგავსი არაფერი გადაგხდენიათ. დიას, ეს საქართველოა“, – წერს National Geographic-ის ურნალისტი.



რატომ არის საშიში ბავშვის შენჯღრევა

რა არის ბავშვის შენჯღრევის სინდრომი?

ბავშვის შენჯღრევის სინდრომი – მას უკვე თავის ძალადობრივ ტრავმასაც უწოდებენ – არის თავის ტვინის მიმე დაზიანება, რომელიც გამოწვეულია ახალშობილის ან მცირეწლოვანი ბავშვის ძლიერად შეჯანჯღრებით.

ნელს „იუნისეფმა“ გამოაქვეყნა რეკომენდაციები, – „ადრეული ასაკის ბავშვის ზრდისა და განვითარების მონიტორინგი და მშობლის კონსულტირება“, – რომლის ერთი თავი სწორედ ბავშვის შენჯღრევის სინდრომს ეხება. მისი ერთ-ერთი ავტორი, პედიატრი ნანი ყავლაშვილი, რადიო თავისუფლებასთან ამბობს, რომ ბავშვის შენჯღრევა ძირითადად ხდება, როდესაც მშობელი დაღლილი, გაღიზიანებულია, ბავშვი კი ტირის.

„სინდრომი ბავშვზე ძალადობის შედეგია. რა თქმა უნდა, შეიძლება ეს მშობელს განზრახ არ უნდა, უბრალოდ, გადაღლილია, ბავშვი კი ჭირვეულობს. ამ დროს ხდება ხოლმე

შენჯღრევა და ასეთი ფორმით შვილის რაღაცნაირად გაჩერება“.

რა ზიანი შეიძლება მიადგას ბავშვის გონს?

ბავშვის ძლიერად რხევის შედეგად, მისი თავის ტვინი წინ და უკან მოძრაობს ქალაქში. ეს იწვევს ჩალურჯებას, სისხლჩაქცევას, შემდეგ ტვინის შემუშებას და ზოგ შემთხვევაში ფატალურად სრულდება. სინდრომის დროს ნადგურდება ახალშობილის თავის ტვინის უჯრედები, რაც განაპირობებს შენჯღრევის ნაკლებობას ტვინში.

რა ასაკის ბავშვები არიან რისკ ჯგუფში?

უფრო ხშირად ეს სინდრომი გვხვდება მცირე ასაკის ბავშვებში, ძირითადად ერთ წლამდე, რადგან ამ პერიოდში მათი თავი შედარებით უფრო დიდია, წონა აქვთ მეტი, კისრის კუნთები კი არ არის კარგად განვითარებული და უჭირთ თავის დაჭერა.

როგორ შეიძლება სინდრომი გამოვლინდეს?

ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ზიანი მიადგა ბავშვს. თუ სისხლჩაქცევა გამოიწვია, 4-6 საათში ვლინდება სიმპტომი.

ნიშნები: ძილიანობა, ღებინება, გულყრები, თუ ბავშვი კონტაქტში არ შემოდის.

თუმცა მცირე დაზიანების დროს შეიძლება ასეთი ხილული სიმპტომები არ იყოს და გამოიწვიოს ბავშვის მუდმივად ტირილი, ქცევის დარღვევა, გონებრივი ჩამორჩენა და ა. შ.


„საქართველოში „ბავშვის შენჯღრევის“ სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა განვითარებულ ქვეყნებში – მაგალითად, აშშ-ში – წელიწადში შეიძლება 1000-დან 1500-მდე ბავშვში გამოვლინდეს“, – ამბობს ნანი ყავლაშვილი.

როგორ ავიცილოთ რისკები თავიდან?

„არ შეიძლება ბავშვის შენჯღრევა, მატარის პერში აგდება, ფეხით დაკიდება და, ზოგადად, დაუშვებელია ადრეული ასაკის ბავშვებთან რაიმე უხეში მოძრაობები“.

ბავშვის განვითარებასთან ერთად გარდაუვალია ბავშვის მცირე ტრავმები, როდესაც ფეხს იდგამს და ხშირად ეცემა, შემთხვევით კედელს ეჯახება და ა.შ. როგორც პედიატრი ამბობს, ამგვარი ერთჯერადი შეჯახებები არ არის საშიში, თუ, რა თქმა უნდა, საუბარი არ არის თავის ძლიერ დაზიანებაზე. ძილის დროს ბავშვთან ერთად ნაზი რხევაც დასაშვებია, თუ ეს არ არის ისეთი უხეში მოძრაობები, რომელიც „ბავშვის ნჯღრევის სინდრომს“ გამოიწვევს.

ანი ბურდული



აკადემიკოს ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრის თანამშრომლები იუნჯებინ, რომ გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

თეიმურაზ აბულაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის შვილსა და რძალს – ვალერი აბულაძეს და თეა ჩანგელიას.

სანთელი

ბიძაშვილები და დეიდაშვილები – მამა და დეიდა (ზურაბ ბოჭორიშვილი), ნუგზარ ბოჭორიშვილი, ნუკრი, გია, გიორგი, ნონა, მია, ლალი გაბრიჭიძეები ოჯახებით ღრმა მწუნხარებით იუნჯებინ

პასტანო ტყეშელაშვილი

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ნათესავებს.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები მწუნხარებით უსამძიმრებენ მეგობარსა და კოლეგას გია გაბრიჭიძეს მამიდაშვილის

პასტანო ტყეშელაშვილი

გარდაცვალების გამო.

ქანდაკობის არქივის პირველი გამოფენა თბილისში

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულ არქივში დაცული თბილისის უანდარმთა სამმართველოს ფონდის დოკუმენტები უახლესი სანში საზოგადოებას გამოფენისა და ვებპროგრამის მეშვეობით პირველად წარედგინება.

უანდარმერია 1820-იან წლებში შექმნილი მეფის რუსეთის საიდუმლო (პოლიტიკური) პოლიცია იყო. მის მიზანს სახელმწიფო და პოლიტიკური დანაშაულების გამოვლენა და მასთან ბრძოლა წარმოადგენდა.


თბილისის უანდარმთა სამმართველოს ფონდს, რომელიც 1839-1917 წლებში ამ ორგანიზაციაში შექმნილ წერილობით დოკუმენტებს, მეთვალყურეობის მასალებს, საიდუმლო კორესპონდენციას და სხვა საინტერესო დოკუმენტებს აერთიანებს, ახლავს პატიმრებზე 1904-1917 წლებში შედგენილი უანდარმერიის ბარათები. ფოტოებთან ერთად, ბარათებზე შემოგვინახეს დაკავებულის თითის ანაბეჭდები, პირადი ინფორმაცია, ფიზიკური აღწერილობა და ინფორმაცია ბრალდების შესახებ. ჩვენამდე ასეთი 5413 ბარათია მოღწეული.

რაც შეეხება უანდარმერიის ფოტოკოლექციას, ის, ძირითადად, მინის ნეგატივებზე შემონახული და მოიცავს 1904-1917 წლებში თბილისის უანდარმთა სამმართველოს მიერ დაპატიმრებული ადამიანების 5000-მდე ფოტოს, რომელიც მათ დაკავებისას გადაუღეს. პატიმრებს შორის არიან ქართველი საზოგადო მოღვაწეები და



პოლიტიკოსები, რომელთაც თავისი საქმიანობის გამო უანდარმერიასთან პრობლემები ექმნებოდათ. მასალებში შესვდებით მიხეილ ჯავახიშვილის, ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილის, რაფაელ არსენიძის, ანა სოლოლაშვილის, ზაქარია ჭიჭინაძის, იოსებ იმედაშვილისა და სხვა ცნობილი ადამიანების ფოტოებს და უანდარმერიის ბარათებს.

ფოტოკოლექცია და ბარათები, გარდა მისი პირდაპირი შინაარსისა, მრავალმხრივ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. მაგალითად, საუკუნის წინათ მცხოვრები ადამიანების ფიზიკურ მონაცემებზე, მათ ჩაცმულობასა და სოციალურ მდგომარეობაზე. ეროვნული არქივი გეგმავს უანდარმერიის ფოტოებისა და ბარათების მდიდარი კოლექცია საზოგადოებას ვებპროგრამით წარუდგინოს. გარდა ამისა, დოკუმენტები ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში 2019 წლის ნოემბერში გამოფენება.



ბორის მუნიციპალიტეტში, წეროსხევის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის რესტავრაცია დასრულდა.

ტაძარს რესტავრაცია ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით ჩატარდა.

2018 წელს დაწყებული წეროსხევის ეკლესიის რესტავრაცია ფონდმა „ქართუს“ 214. 500 ლარით დააფინანსა.

ფონდი „ქართუს“ მიმდინარე წელს ქართლის რეგიონში 28 ისტორიული ძეგლის რესტავრაციას აფინანსებს, საერთო ღირებულებით 2 728 300 ლარი.

ფონდ „ქართუს“ მიერ 2005-2019 წლებში მთელი ქვეყნის

წეროსხევის ღვთისმშობლის ტაძრის რესტავრაცია დასრულდა



მასშტაბით რესტავრირებულია 800-ზე მეტი ისტორიული ძეგლი, რომლის ჯამური ბიუჯეტი 86 539 010 ლარია.

2000 წლიდან, დღემდე „ქართუს“ ასევე აფინანსებს კულტურის ინფრასტრუქტურის აღდგენას, რეაბილიტაციას, რესტავრაციას და ა.შ.

კულტურის სფეროში, მხოლოდ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, 2000 წლიდან ფონდს ჯამურად 600 მილიონ ლარზე მეტი აქვს დახარჯული.

2018 წელს კულტურის სფეროში ინფრასტრუქტურულ პროექტებზე დახარჯულია 25 მილიონ ლარზე მეტი.

მხოლოდ 2018 წელს კულტურის სფეროზე გაცემულია 30 970 496 ლარი.

ქართული ფილმების დღეები სკოლაში

სკოლაში საქართველოს საელჩოს ორგანიზებით, „Korean Film Archive“-ში ქართული ფილმების დღეები გაიხსნა. ინფორმაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.



უნეციოს ცნობით, ლონისძიებაზე მიწვეულ სტუმრებს, მისასალმებელი სიტყვით საქართველოს ელჩმა ოთარ ბერძენიშვილმა მიმართა. მან კორეულ მხარეს პროექტის განხორციელების ხელშეწყობისთვის მადლობა გადაუხადა და ყურადღება ორ ქვეყანას შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის მნიშვნელობაზე გაამახვილა.

ლონისძიების ფარგლებში მყოფი მსახივრები ცნობილი ქართველი რეჟისორების ხუთ ფილმს ნახავს: გიორგი შენგელიას „ფიროსმანი“, ლევან თუთბერიძის „მოირას“, რუსუდან გლურჯიძის „სხვების სახლს“, მარიამ ხაჭავაძის „დედეს“ და ანა ურუშაძის „სამიშ დედას“.

ყველისა და კულინარიის ფესტივალი გურჯაანში

ფესტივალის ფარგლებში, ქართული ტრადიციული სამზარეულოს პოპულარიზაციის მიზნით ადგილობრივი მოსახლეობისა და ქალაქის სტუმრებისათვის სხვადასხვა ლონისძიება გაიმართება. ყველისა და სხვა აგროპროდუქტების გამოფენა მოეწყობა. ყველისგან კერძებსაც მოამზადებენ.



ლონისძიებას მუსიკალურად გააფორმებენ ადგილობრივი ეთნო-ანსამბლები, მონვეული მომღერლები და დიჯეი. ფესტივალის დასკვნით ნაწილში კიბოკუზ დოლის (Bocuse d'Or) ფინალისტების კულინარიული შოუ გაიმართება.

მელვინეობისა და საფესტივალო ქალაქი გურჯაანი ამგვარ ფესტივალს პირველად მასპინძლობს და სტუმრებს ასტალას პარკში, 26 ოქტომბერს 10 საათიდან მიიღებს.

ფილმ „შინდისის“ აპერიკული პრემიერა

„ოსპარზა“ საქართველოს კანდიდატი ფილმის „შინდისის“ ამერიკული პრემიერა 7 და 8 ნოემბერს გაიმართება. ინფორმაციას ფილმის საპროდუქციო ჯგუფი ავრცელებს.



რამდენიმე დღის წინათ „შინდისის“ ვარშავის საერთაშორისო კინოფესტივალის გრანპრის მფლობელი გახდა. ფესტივალზე დიმიტრი ცინცაძე საუკეთესო რეჟისორის პრიზით დაჯილდოვდა.

ფილმი 2008 წლის 11 აგვისტოს სოფელ შინდისში მეორე ქვეითი ბრიგადის საინჟინრო ოცეულსა და რუსეთის 58-ე არმიის მოტომსროლელთა ასეულს შორის გამართულ უთანასწორო ბრძოლაზე რეჟისორმა დიმიტრი ცინცაძემ გადაიღო.



ბრიტანეთის ყველაზე დიდი ოჯახი 22-ე ბავშვს ელოდება

სიუ და ნოელ რედფორდების ოჯახში ახლა 11 გოგო და 10 ბიჭია. პირველი ბავშვი სიუმ 14 წლის ასაკში გააჩინა, ახლა ქალი 44 წლის არის.

მშობლებმა პატარას სქესის გაგება არ მოისურვეს, თუმცა დედა ფიქრობს, რომ ბავშვი ბიჭია, რადგან ყოველთვის ეგონა, რომ 11 ბიჭი და 11 გოგო ეყოლებოდა. პატარა 2020 წლის აპრილში უნდა გაჩნდეს.

რედფორდები ბრიტანეთში პოპულარობით სარგებლობენ. 2013 წელს მათ რეალითი შოუში მიიღეს მონაწილეობა, სახელწოდებით „16 ბავშვი – გაგრძელება იქნება“. ახლა რედფორდები ოჯახის ახალი ამბების შესახებ თავიანთი YouTube-სა და Instagram გვერდებზე უყვებიან. ოჯახის შემოსავლის ძირითად წყარო ნოელის საცხოვრებელია.

საილოები შიშვინისგან დაიხოსნენ

ბოლო ორი თვის განმავლობაში, ზომბაბეგს ეროვნულ პარკში სულ მცირე 55 სპილო მოკვდა. ეროვნული პარკის პრესსპიკერის თქმით, მიზეზი შიმშილია, რომელიც დიდ პრობლემას წარმოადგენს.

გვალვამ ზომბაბეგში მოსავლის დონე მასიურად შეამცირა. მოსახლეობის მესამედს მძიმე ეკონომიკური კრიზისის ფონზე საკვებით დახმარება სჭირდება.



„პარსკვლავური ომების“ ახალი ტრილოგია



სტუდია Lucasfilm-მა „ვარსკვლავური ომების“ მე-9 ეპიზოდის საბოლოო ტრილოგია გამოაქვეყნა. ფილმი სახელწოდებით „The

Rise of Skywalker“ ლეგენდარული საგის ახალი ტრილოგიის დასასრული გახდება. სურათში ახალ პერსონაჟებთან ერთად ორიგინალური ფილმების გმირებიც გამოჩნდებიან.

მთავარ როლებს ფილმში დევი რიდლი და ადამ დრაივერი ასრულებენ. სურათის რეჟისორი ჯეი ჯეი აბრამსია. მსოფლიო პრემიერა 19 დეკემბერსა დაგეგმილია.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS REPUBLIKA

ბ. ჩიქოვასას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიაშვილი
599 53-76-16;
ალექო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
 პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაქიძე
514 33-33-24

გამომცემლობა:
 შპს „ახალი საუკუნე – გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
 შპს „თანამდებობა“-ს გაზეთი საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
 ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა „**კომორ პრესი**“
 რკინიგზის ჩიხი №20
uac(უაკ)070.4(479.22) ს-323
 ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საზურაღდეოდ!

რედაქციის მიერ შუამთავრობით მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შეხატულობა, მუდამ არ ემთხვევოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აბეზან ავტორები.

ყურადღება!
 „საქართველოს რესპუბლიკის“ გამოსაქვეყნებელი:
„ელვა.ჯი“
577 991651
577 308847
შპს „მასეი“
599 982777
„ელვანება ფორტა“
579 799908

	უხსოვარი პალატის კარსი: აუზ ღოღარი - 2.9701; პირი - 3.3158; ბრიტანული მიკროსტრუქტურული - 3.8561; 100 რუბლი - 4.6607; თურქული ლირა - 0.5102; აზერბაიჯანული მანათი - 1.7470; 1000 სომხური დრამი - 6.2266.	აქციები 23 ოქტომბრისთვის აღმოსავლეთი საქართველო: ბაზი - ლაშქ +6, ღვინო +25 მთიანი რაიონები - ლაშქ +1, ღვინო +22 დასავლეთი საქართველო: ბაზი - ლაშქ +12, ღვინო +26 მთიანი რაიონები - ლაშქ +3, ღვინო +25 თბილისი: ლაშქ +10, ღვინო +24	დაავიკავით, მოგვინათ: ტელ: 296-72-86, 599-79-76-79, 568-82-09-84 ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge
--	---	--	--